ოთველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 14 24 აგვისტო 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: კავკასიის ავტონომია ნამესტნიკის კანონპროექტით.—გზა-და-გზა.—აკადემიკოსი ი. რ. თარხნიშვილი.—სხვა-და-სხვა ამბები ჩვენში.—რუსეთში.—ოსმალეთი,—სპარსეთი.—საღამოს ჟამს, (ლექსი), **დ. თურდოსპირელისა**.—მაღალ წრეში, (პიესა), **განისა**.—ასე რათ ხდება? (ლექსი), **ა. ხაბულიანისა**.—პროვინცია.—მუშათა შორის.—გურიის ამბები.—შავი საქმეები ძმობისა და სიყვარულის სამოსელში, **ტასისა**.—წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადებანი.

ეკატერინე ყარამანის ასული პეტრიაშვილისა გულითად მადლობას უძღვნის საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებს, მოსწავლე ახალგაზდობას და კერძო პირთ, რომელთაც თანაგრძნობა გამოუცხადეს მას უზომო მწუხარებაში დაუფასებლის მეუღლის

პრ. ვასილ პეტრიაშვილის

გარდაცვალების გამო. განსაკუთრებულ მადლობას უძღვნის აგრეთვე ქართველ სტუდენტებს, რომელთაც მამაშვილური თანაგრძნობა და პატივისცემა აღმოუჩინეს.

კავკასიის „ავტონომია“ ნამესტნიკის კანონ-პროექტით

ამ დღეებში რუსეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ზოგიერთი ნაწყვეტები ამ კანონ-პროექტისა. იგი ეხება კავკასიაში ახალ წეს-წყობილების შემოღებას. ეს დოკუმენტი დიდათ საყურადღებო და საგულისხმოა, როგორც თავის წარმოშობით, ისე შინაარსითაც იქ გამოთქმულია ზოგიერთი აზრები, რასაც არ შეგვიძლიან ჩვენც არ დავეთანხმოთ. ასე მაგ. ნამესტნიკი აღიარებს, რომ იგი წინააღმდეგია იმ „გარუსების პოლიტიკისა, რასაც მთავრობა აწარმოებდა უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში და რამაც მოიტანა დასახულ მიზნების სრულიად მოწინააღმდეგე შედეგები“. ნამესტნიკი აღიარებს აგრეთვე, რომ „შეუძლებელია კავკასიის მართვა-გამგეობა სწარმოებდეს ცენტრიდან, საზოგადო ფორმულების საფუძველზე“; იგი მიუთითებს, რომ სახელმწიფო უფლობის ცენტრალიზაცია განაპირა ქვეყნებში იწვევს და ავითარებს აქ მცხოვრებ ნაციათა მისწრაფებას განცალკევებისადმი, მაგალითათ უჩვენებს ინგლისისაგან ჩრდილოეთ ამერიკის შტატების ჩამოშორებას და დაასკვნის, რომ მიუცილებლათ საჭიროა კავკასიის ხალხებს ნება მიეცეს თავისუფლათ ანვითარებდენ თავის ეკონომიურ და სულიერ ძალებს თანახმათ თვითმოქმედების პრინციპებისაო.

ჰეშმარიტათ, რომ ეს აგრეა! აი ორიოდე სიტყვით თვით კანონ-პროექტი.

კავკასიის მმართველობის სათავეში არ შეიძლება იდგეს რუსეთის ჩვეულებრივი გენერალ-გუბერნატორი,

რომელიც არის და იქნება მხოლოთ „ჩინოვნიკი“ (მოხელე) შინაგან საქმეთა სამინისტროსი. აღნიშნულ პოსტზე უნდა დარჩეს ნამესტნიკი, რომელიც აღჟურვილ უნდა იქმნას დაახლოებით იმავე ძალა-უფლებით, როგორიც მოეპოვებათ მინისტრებს. მას თანაშემწეთ ეყოლება ყველა უწყებათა წარმომადგენელნი. ეს იქნება კავკასიის ერთგვარი სამინისტრო თუ „მინისტრთა კაბინეტი“. ამასთანავე უნდა არსებობდეს განსაკუთრებული საბჭო, სადაც მოწოდებული იქნებიან ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალები.

ნამესტნიკს საშუალება უნდა ჰქონდეს საერთო სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები შეუფარდოს ხოლმე ადგილობრივ პირობებს, მას „უნდა შეეძლოს ადგილობრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდეს სწრაფათ, რამდენადაც შეიძლება მათი გაჩენის უმალვე. ნამესტნიკს უფლება უნდა ჰქონდეს იმპერიის საკანონმდებლო დაწესებულებათა წინაშე აღძრავდეს საკითხებს ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ, იმისდა მიუხედავათ, თუ რა აზრისა იქნებიან ამაზე პირადათ ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენელნი. გარდა ამისა, რადგან იმპერიის საკანონმდებლო დაწესებულებაში ადგილობრივ მცხოვრებთა მონაწილეობა ყოველთვის კიდევ არ უზრუნველჰყოფს ადგილობრივ ინტერესებს, ამიტომ ნამესტნიკს უფლება უნდა ჰქონდეს განსაზღვრულ ვადამდის წამოაყენოს პროტესტი წინააღმდეგ იმისა, რომ კავკასიაში გატარებულ იქმნას ცენტრალურ პარლამენტისაგან მიღებული ესა თუ ის ზომა.

როგორცა ჰხედავთ, აქ, მართალია მეტათ გაუბედავათ, ძალიან მკრთალათ, მაგრამ მაინც გატარებულია ავტონომიის ტენდენცია. მართალია ისიც, რომ ეს უკანასკნელი ცოტა არ იყოს გაუკულმართებულია, რადგან ეტყობა ავტონომიური უფლებები ენიჭება უფრო ნამესტნიკს, ვიდრე „საზოგადოებრივ ძალებს“. მაგრამ საგულისხმოა ის გარემოება, რომ თვით დღევანდელ ადმინისტრაციის უმაღლესი წარმომადგენელი მიხვედრილია პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის ულმობელ საჭიროებას. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენ მიერ წამოყენებული მოთხოვნა—კავკასია შეადგენდეს რუსეთის სახელმწიფოს ავტონომიურ ნაწილს, ეს მოთხოვნა არ არის მხოლოთ თეორეტიულ მსჯელობის დასკვნა, ეს თვით დღევანდელ ცხოვრების იმპერატიული მოთხოვნაა. ნამესტნიკის კანონ-პროექტი შეცდაა ამ მოთხოვნილებასთან ანგარიშის გასაწევათ. ხოლო ეს პროექტი სრულიად უყურადღებოთ სტოვებს მეორე მოთხოვნილებას, რომელიც მომდინარეობს კავკასიის ნაციონალურ, კულტურულ, სოციალ-ეკონომიურ მრავალფეროვანება—სხვა და სხვაობისაგან. კავკასიის ავტონომიამ უეჭველათ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ სხვა და-სხვაობას.

საერთოთ ნამესტნიკის პროექტით დასახული წესწყობალება, თქმა არ უნდა, რომ მხოლოთ აჩრდილი არის ავტონომიისა, ხოლო ნამესტნიკი თურმე მაინც ფიქრობს, რომ უკეთუ იგი კავკასიის ხალხთ ავტონომიური წვეთებით აზიარებდა, მაშინ იგინი უმალვე გაინიკურნებოდენ ნამდვილ ავტონომიაზე ოცნებისაგან. ნამდვილათ კი ამ პროექტის განხორციელება მხოლოთ გააღიზიანებდა კავკასიის ხალხთა ნაციონალურ და საერთოთ პოლიტიკურ და მოქალაქობრივ ჭრილობებს; ის უფრო გააღვივებდა საარსებო მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის სიმწვავეს. რუსეთისა და კერძოთ კავკასიისათვის უკვე განვლო იმ ხანამ, როცა შეიძლებოდა „წვეთებითა“ და პალიატივებით „მკურნალობა“. დღეს საჭიროა მოღაღადე მოთხოვნილებების გაბედული და რადიკალური დაკმაყოფილება.

კარგათ ვიცით, რომ ვერავითარი სახეირო ზომები ვერ განხორციელდება, სანამ წელში არ გატყდება დღევანდელი რეაქცია. მიუხედავათ იმისა, რომ ნამესტნიკის აღნიშნული კანონ-პროექტი მხოლოთ პალიატივის პოლიტიკაა, იგი მაინც საკმაო შეიქმნა სრულიად რუსეთის ბნელი ძალებისა და რეაქციის ბურჯთა ასამხედრებლათ. თუმცა კანონ-პროექტი სახელმწიფო დუმაზე წარსადგენათ გადაეცა ცენტრალურ მთავრობას, მარა უკანასკნელმა მას მსვლელობა არ მისცა, პროექტი ვერ იხილავს დუმის კარებსაც.*) კინაღამ კანონ-პროექტმა თან არ გაიტანა თვით მისი ავტორიც. დაჟინებით მოდიოდა ხმები, რომ კავკასიაში სრულიად სპობენ ნამესტნიკობას და ჰგზავნიან გენერალ-გუბერნატორებსო. მაგრამ ამ დღეებში რუსეთის გაზეთებმა ისევ „გვანუგეშეს“: ნამესტნიკი კვლავ დაუბრუნდება კავკასიასო. დაბრუნდება თუ არ დაბრუნდება, ჩვენთვის სულ ერთი არის. ნამესტნიკი თურმე წინაღმდეგი ყოფილა გარუსების ცნობილ პოლიტიკისა, მაგრამ ნამესტნიკის დროსაც ჩვენ სკოლებს მაინცა ჰხურავენ, სამშობლო ენას აძევებენ თვით პირველ დაწყებითი სკოლებიდან და სხ. ნამესტნიკი მოლიბერალო კაცი ბრძანებულა, ის თურმე მომხრეა რეფორმებისა და წინაღმდეგია გაუთავებელ რეპრესიებისა; მაგრამ იმავ ნამესტნიკის დროს რეფორმების წილ ჩვენ თავს გვატყდება უანგარიშო რეპრესიები, ისეთი სასტიკი რეპრესიები, რომლის მზგავსი არაფერი იციან რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში და ამ სამხედრო მდგომარეობასაც ხომ დასასრული აღარ უჩანს.

მაშ ჩვენ ისევ და ისევ უნდა განვიმეოროთ ძველი ჭეშმარიტება, გაწამებულ ხალხს იმ დრომდე არაფერი ეშველება, იმ დრომდე ის ვერ იხილავს თავისუფლების ცხოველ-მყოფელ სხივებს, ვიდრე იგი არ მოიკრებს საჭირო ძალ-ღონეს და ენერგიას—„ზეცას მოსტაცოს ღვთიური ცეცხლი“.

გზა-და-გზა.

III

ფართო თვითმართველობა და ავტონომია.

რაკი ავტონომიას და თვითმართველობას ერთმანეთს უპირდაპირებთ, თვითმართველობა, ფართოა იგი

*) რუსეთის გაზეთების უკანასკნელ ცნობით კანონ-პროექტი წარედგინება სახ. დუმას და განხილულ იქნება მომავალ წილს დამდეგს.

თუ ვიწრო, მაინც, თვითმართველობაა, და ავტონომიაც, ფართო იქნება თუ ვიწრო, მაინც ავტონომიაა. ასე რომ ამ ტერმინებით აღნიშნულ საზოგადოების იურიდიულ ორგანიზაციებს მოეპოება საკუთარი ნიშნობლივი, დამახასიათებელი თვისება, რითაც იგინი ერთი მეორისაგან განირჩევიან. რომელია ამ ორგანიზაციათა ეს ნიშნობლივი მხარე?

ა. ჩხენკელი სწერს: „ფართო თვითმართველობა სწორეთ იმდენათ იცავს ქართველ ერის ნივთიერ და სულიერ კულტურას, რამდენადაც ამას გვპირდება ავტონომია. მეტსაც ვიტყვით. ეს ორი ცნება შინაარსით ერთი და იგივეა, რამდენათ სახეში გვაქვს მოღვაწეობა ეროვნულ ასპარეზზე; ამ შემთხვევაში **ისინი განსხვავდებიან მხოლოდ სახელით**“ („ხომლი“, № 19). მაშ ავტონომიასა და თვითმართველობას შორის ყოფილა სრული იგივეობა, რამდენათაც საქმე ეხება ეროვნულ ასპარეზს (უკანასკნელი, რა თქმა უნდა, აღებულია ვიწრო მნიშვნელობით, იგულისხმება ერის მარტო სულიერი კულტურა. ფართო მნიშვნელობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ იპოება, არც ერთი თუნდ პაწია კუნჭული, რომელიც ასე თუ ისე არ ეხებოდეს ნაციის ბედ-იღბალს). მაშ, თუ ამხ. ჩხენკელს დაუჯერებთ, ავტონომიასა და თვითმართველობას შორის მხოლოთ ის განსხვევება ყოფილა, რომ მათ ჰქონიათ სხვა და სხვა სიდიდის ასპარეზი, ე. ი. განსხვავება ყოფილა მხოლოთ **რაოდენობითი.** ასეც განმარტავს ჩვენი ავტორი. „ფართო თვითმართველობას და ავტონომიას—სწერს იგი—**არსებითათ** (ხაზს თვითონვე უსვავს) ერთგვარი ფუნქციები ევალება, მაგრამ დიდი განსხვავებაა მათ შორის, როცა კითხვა კომპეტენციაზე (უფლება-მოვალეობის რაოდენობაზე) მიდგება, ჩვენი ნაციონალისტების ავტონომია თხოულობს **რაოდენობით** გაცილებით უფრო მეტ უფლება-მოვალეობებს, ვინემ ფართო თვითმართველობა“. (იქვე).

საქმის ასე გაგება შეუწყნარებელი შეცდომაა. და აი რატომ.

თუ ჩვენ ცალკე ავიღებთ ტერმინს „თვითმართველობა“, აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ვიწრო და ფართე მნიშვნელობაც. ყოველ იმ სახელმწიფოში, სადაც ხალხი მოწოდებულია ქვეყნის კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში, ე. ი. ყველგან, სადაც არსებობს კონსტიტუცია, ანუ უკეთ პარლამენტარული წეს-წყობილება, ჩვენ წინა სდგას თვითმართველობა, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. აქ თვითმართველობა უპირდაპირდება ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას. ამ აზრით ხმარობენ აღნიშნულ ტერმინს ინგლისელები. მათი იურისტები ხშირათ ტერმინით „self-gouvernment“ (ქართულათ, თვითმართველობა) აღნიშნავენ ინგლისის კონსტიტუციას, პარლამენტს, მის წინაშე პასუხისმგებელ სამინისტროს და სხ. ერთი სიტყვით ინგლისის მთელ სახელმწიფო ორგანიზაციას. მაგრამ როცა ჩვენ ვამბობთ „თვითმართველობა თუ ავტონომია“, ცხადია, პირველი სიტყვა აღებულია ვიწრო მნიშვნელობით, ე. ი. იგულისხმება ადგილობრივი თვითმართველობა, სოფლის, ქალაქის, მაზრა-გუბერნიის თვითმართველობა, ანუ ადმინისტრატიული თვითმართველობა. ამ აზრით ხმარობს „თვითმართველობას“ ამხ. ჩხენკელიც. იგი სწერს, რომ საქართველო უნდა შეადგენდეს ერთ ადმინისტრატიულ ერთეულს და ეს იქნება ავტონომიაო; საქართველოს წვრილი ერთეულებიც „იმერეთი“, „ამერეთი“ ‌ᲓᲐ სხვა კიდევ წვრილი ერთეულებიც იქნება ავტონომიებიო. ტერმინების ასეთი ხმარება შეუწყნარებელია.

ტერმინოლოგიის აბნეულობა ისე ადვილი არსად არის, როგორც იურიდიულ სფერაში, მარა ამასთანავე, იმდენათ მავნებელიც არსად არის, როგორც ამ სფერაში. სხვათა შორის ამ აბნეულობიდან მომდინარეობს აზრის რყევაც (სახელოვანი „шатаніе“). არ შეიძლება უფლებების მოპოება და დაცვა, თუ კი სწორეთ არ გვესმის მნიშვნელობა იმ სიტყვებისა, რითაც აღვნიშნავთ ჩვენს მოთხოვნებს.

ხშირათ სწერენ და ამბობენ „პოლიტიკური ავტონომია“, „ადმინისტრატიული ავტონომია“. ასეთი თქმა ნიშნავს მხოლოთ ადამიანის ენის სიბეჩავეს, შიშს, რომ მკითხველმა თუ მსმენელმა ერთმანეთში არ აურიოს ორი სრულიად სხვა და სხვა ორგანიზაცია და მათი ფუნქციები. ნამდვილათ, ავტონომია უეჭველათ **პოლიტიკურია,** ადგილობრივი თვითმართველობა კი უეჭველათ **ადმინისტარტიულია.** იმის გასაგებათ თუ რას შეიცავს ან ერთი ან მეორე, თუ რა არის ავტონომია და ან რას ნიშნავს ადგილობრივი თვითმართველობა, საკმაოა გავშინჯოთ აწ არსებული ეს ორგანიზაციები.

ადგილობრივი თვითმართველობა არსებობს ყველა თანამედროვე სახელმწიფოებში და, იგი იპოება თვით ძველი რეჟიმის დროსაც. ასეთია მაგ. რუსეთში არსებული земство („საერობო დაწესებულებანი“) და საქალაქო თუ სასოფლო თვითმართველობანი. მაგრამ რუსეთში ეს თვითმართველობა იმდენათ შეზღუდულია, რომ საბოლოო ანგარიშით, ყველა საქმეების მთელი ავან-ჩავანი ბრძანდებიან გენ.-გუბერნატორები, გუბერნატორები, „ნაჩალნიკები“, „პრისტავები“, „ურიადნიკები“, „დესტნიკები—გოროდოვოები“ და სხ. წვრილი და სხვილი ადმინისტრატორები. დემოკრატიის მოთხოვნა კი ის არის, რომ ყველა საქმეები, რასაც აწარმოებენ ეს ბატონები და აგრეთვე მღვდლები (დაბადება-ქორწინება, გარდაცვლების დავთრები), გადაეცეს სოფლის, ქალაქისა და მაზრა-გუბერნიის საბჭოებსა და გამგეობათ და მათ მიერვე არჩეულ მოხელეებს. ეს იქნება ადგილობრივ თვითმართველობის განხორციელება. სულ სხვა არის ავტონომია.

ავტონომიებს ჩვენ ვხედავთ მხოლოთ დაწინაურებულ და კაპიტალისტურათ უმაღლეს წერტილამდე განვითარებულ სახელმწიფოებში, ასეთ ავტონომიებს წარმოადგენენ მაგ. ინგლისის კოლონიები: ავსტრალია-

კაპის კოლონია (აფრიკაში), კანადა და სხ. ავტონომიებია აგრეთვე შვეიცარიის შემადგენელი ნაწილები, კანტონები, ამერიკის რესპუბლიკის შტატები (შტატი ან ინგლისურათ „სტეიტი“ ქართულათ ითარგმნება „სახელმწიფო“). სახელოვანი იურისტები დღევანდლამდე კამათობენ — ამ ავტონომიებს დაერქმევა სახელმწიფო თუ არაო. გერმანელი იურისტები და მათ შორის ცნობილი გ. ელლინეკი, აცხადებენ—არა, არ დაერქმევა, მათი სახელი ავტონომიაოო. ფრანგი და ბელგიელი იურისტები და მათ შორის ცნობილნი ესმენი და ედ. პიკარი ამ ავტონომიებს უწოდებენ სახელმწიფოებს. დავანებოთ თავი იმას, თუ რომელი მხარეა აქ მართალი. საგულისხმოა თვითონ ფაქტი კამათისა. აშკარაა ავტონომია იმდენათ უახლოვდება სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, რომ უკვე თვით განსწავლულ იურისტებისათვის ძნელათ დასანახი და საპოვნელი, თუ რითი განსხვავდება ერთი მეორისაგან. მართალია, სახელმწიფოსა და თვითმართველობის შორისაც არის მზგავსება; ასე მაგ. ქალაქის საბჭო („დუმა“) უდრის სახელმწიფო დუმას (პარლამენტს), გამგეობა—სამინისტროს, მთავრობას და ქალაქის თავიც უდრის პრეზიდენტს ანუ მეფეს. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ეს მზგავსება მხოლოთ გარგენულია, ფორმალურია. ხოლო მოქმედების ხასიათი და ნამოქმედარის ძალა კი აქ და იქ სულ სხვა და სხვა არის. განა ასეთივეა სახელმწიფოსა და ავტონომიის ურთიერთშორისი მზგავსება? ვნახოთ.

სახელმწიფოს ნიშნობლივი, არსებითი მხარე, მისი საფუძველი არის **სახელმწიფო უფლობა** (pouvoir, власть) *), რასაც აქვს სამი გამოხატულება, სამი ფუნქცია—კანონმდებლობა, მოსამართლოება და მმართველობა; აქედან სახელმწიფოს სამი მთავარი ორგანო—1) პარლამენტი, 2) სასამართლო და 3) სამინისტრო. ადგილობრივი თვითმართველობა, ჩვეულებრივათ, მონაწილეა სახელმწიფო უფლობის მხოლოთ ერთათ-ერთი ფუნქციისა, მმართველობისა; დანარჩენს იგი ვერ გაეკარება. სახელმწიფო უფლობის არსებას, მის დედა-ძარღვს კი შეადგენს კანონმდებლობა. კანონი და თვითმართველობის დადგენილებანი თუ ადმინისტრატიული განკარგულებანი „რასპორიაჟენიები“ არ უნდა აურიოთ ერთმანეთში, თორემ სახელმწიფო საქმეებში ველარას გავიგებთ თავ-ბედისას და ყველაფერი აქ ჩვენთვის წყვდიადში გამოეხვევა! მართალია, ძველი რეჟიმის დროს ყოველი „რასპორიაჟენიე“, „უქაზი“, „პრიკაზი“, „ცირკულიარი“ და ყოველი ადმინისტრატიული პირადი განსჯა („უსმოტრენიე“, „ვიდი ნაჩალსტვა“) და სხვა ამგვარები მიუცილებლათ ეწევიან კანონის მაგიერობას; მაგრამ იურისტები აკი ამიტომაც ძველ რეჟიმს არ უწოდებენ „ლეგალურ რეჟიმს“, უფლებრივ წყობილებას! აკი ამიტომაც ამბობენ, რომ ძველი რეჟიმი დაყრდნობილია თვითნებობასა და ძალმომრეობაზე. რომ აქ გამეფებულია დესპოტიზმი და ტირანია. სულ სხვაა თანამედროვე სახელმწიფოში, ე. ი. კონსტიტუციონურ, უფლებრივ წესწყობილებაში. აქ არავინ და არაფერი არ შეიძლება იდგეს კანონზე მაღლა; სანამ კანონი არ გაუქმებულა კანონიერი წესითვე, მას თანაბრათ ემორჩილება, როგორც გვირგვინოსანი, ისე უბრალო მათხოვარა. ასეთია უფლების მეცნიერული თეორია, მაგრამ, ვიმეორებთ, თუ არ ვიხელმძღვანელებდით თეორიით, ისე წყვდიადში ბობღვა მოგვიხდებოდა. უფლებრივ წესწყობილებაში თვითმართველობის ყოველი დადგენილება დაყრდნობილია კანონის ფორმალურ, მკაფიოთ განსაზღვრულ ბრძანებაზე; იგი მხოლოთ კანონის გატარებაა ცალკე კონკრეტულ შემთხვევებში, არც მეტი, არც ნაკლები.

ავტონომიის დადგენილება კი თვითონ კანონია; იგი ეხება არა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევას, არამედ მთელ რიგს ასეთი შემთხვევებისას, ე. ი. ის არის საყოველთაო და საზოგადო. ცენტრი ავტონომიას უზომავს მხოლოთ სფერას მოქმედებისას და ეუბნება: აი ამ ჩარჩოებში, ამ ასპარეზზე შეგიძლიან ისეთი კანონები გამოსცე, როგორც შენი ნება-სურვილი იქნებაო. მაშასადამე, ავტონომიას მინიჭებული აქვს თვითონ **არსება** სახელმწიფო უფლობისა, ე. ი. კანონმდებლობა. ასეა თეორიაში და ასევეა პრაქტიკაში. ყველა დღეს და დღემდის არსებულ ავტონომიებს მოეპოვებათ კანონმდებლობის ფუნქცია და მისი ორგანო პარლამენტი. ხოლო საკუთარი კანონები თავის თავათ იგულისხმებს საკუთარ სასამართლოს და მმართველობას. ასე რომ ავტონომიას აქვს სახელმწიფო უფლობის ყველა ფუნქციები და ყველა ორგანოები; და აი ამიტომაც სახელმწიფო ძნელათ გასარჩევი ხდება ავტონომიისაგან. აქ არსებითი განსხვავება წაშლილია. განსხვავებაა მხოლოთ **რაოდენობითი**. მოქმედების ასპარეზი ერთგან მეტია, მეორეგან ნაკლები, ხოლო მოქმედების ხასიათი და ნამოქმედარის ძალა ორივეგან ერთი და იგივეა.

მაშ ასე. წინაღმდეგ ამხ. ჩხენკელისა, ავტონომიასა და ადგილობრივ თვითმართველობას შუა განსხვავება ყოფილა ღრმა, ძირითადი და არსებითი. რამდენადაც უნდა გავაფართოვოთ ან შევავიწროვოთ ავტონომიისა და თვითმართველობის სამოქმედო ასპარეზი, ავტონომია მაინც ავტონომიათ დარჩება და თვითმართველობა კიდევ თვითმართველობათ.

წარმოვიდგინოთ, რომ ამა თუ იმ ნაციას მინიჭებული აქვს ავტონომიური უფლებები მხოლოთ და მარტო სულიერ კულტურის საკითხებში, როგორიც არსს

*) ამ ცნებას ჩვენს პრესაში აღნიშნავენ ხოლმე ახალ ტერმინით—„ძალა-უფლება“, მარა, ჩემის აზრით, უმჯობესია ვიხმაროთ „უფლობა“. „უფლებისათვის“ ძალის აკვიატება ზედმეტია, რადგან ყოველ უფლებას განუყოფელათ თან სდევს მფარველი გარეშე ძალა. მარა შეიძლება ბევრი უფლებებითაც იყოთ აღჭურვილი და მაინც ჯერ კიდევ არა გქონდეთ **უმაღლესი ბატონობა**, რასაც იგულისხმებს власть, pouvoir, და რასაც სავსებით ეტავს ჩვენი ტერმინი „**უფლობა**“.

სწავლა-განათლების საქმე, სკოლების, ბიბლიოთეკა-მუზეუმების, თეატრებისა და სხვ. ასეთ დაწესებულებათა დაარსება და გაძღოლა. დასახელებულ უფლების მოპოვება იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ საკითხებში ცენტრისაგან ჩამორთმეულია სახელმწიფო უფლება-ფუნქციები და ეს გადაცემულია სათანადო ნაციონალურ საბჭოში თუ პარლამენტში. აქ ნაციის კულტურული ცხოვრება მიმდინარეობს ცენტრისაგან დაუკითხავათ და დამოუკიდებლათ. ნაცია ყველა თავის კულტურულ დაწესებულებას ჰქმნის თვითონ, საკუთარი **ნება-სურვილისამებრ**, საკუთარი ორგანოების საშუალებით და თვითონვე უძღვება საკუთარი ძალ-ღონით ე. ი. თვითონ აწერს თავის ნაციის ადამიანებს საჭირო გადასახადებს და მას თვითონვე ჰკრეფს. ერთი სიტყვით, აქ საქმე მოწყობილია სახელმწიფოებრივათ, აქ ნაციას მინიჭებული აქვს სათანადო პოლიტიკური უფლებანი, აქ ის ანხორციელებს პუბლიკურ (საზოგადოებრივ) უფლებრივ ნორმებს, რომელიც არის გამოხატულება მინიჭებულ **სახელმწიფო უფლობისა** (განსაზღვრულ სფერაში, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მხოლოთ კულტურულ საქმეებში). ამიტომაც კულტურულ საქმეების ასეთ მოწყობილობას ჰქვიან ავტონომია. ცხადია, რომ ავტონომია და თვითმართველობა „ეროვნულ ასპარეზზედაც“ ერთი მეორისაგან განსხვავებული ყოფილან **არსებითათ**.

როცა ავტონომიის სამოქმედო ასპარეზი შემოფარგლულია ნაციის მხოლოთ კულტურული საკითხებით, მაშინ მას ეწოდება კულტურული ანუ, უკეთ, ნაციონალ-კულტურული ავტონომია, რათა იგი გავარჩიოთ ფართე და სრულ ავტონომიისაგან. პირველი ამ უკანასკნელის ერთი სახე, ერთი კატეგორიაა. ორივე პოლიტიკური ავტონომიაა. მათ შორის განსხვავება მხოლოთ **რაოდენობითია**, ე. ი. ერთის სამოქმედო ასპარეზი უფრო ვიწროა (მხოლოთ კულტურული საკითხები), მეორესი კი უფრო ფართეა და სრული. (კულტურულ საკითხებთან ერთათ მის ხელშია ნაციის მთელი სოციალ-ეკონომიური ვითარება მის საცხოვრებელ ტერიტორიის საზღვრებში). სად რომელი ავტონომია უნდა იქმნას მოთხოვნილი—ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე. ამბ. ჩხენკელი გადაჭრით აცხადებს, რომ ჩვენში ნაციონალ-კულტურულ ავტონომიაზე მეტის განხორციელება არც შესაძლებელია და არც სასურველია.

რამდენათ საფუძვლიანია ეს აზრი, ამას დავინახავთ შემდეგ წერილში.

აკადემიკოსი
ი. რ. თარხნიშვილი

ჯერ კიდევ არ გაციებულიყო ულმობელი სამარე, რომელმაც მიიბარა სახელოვანი მამულიშვილი, მეცნიერი—მოქალაქე და საყვარელი პროფესორი პეტრიაშვილი, დამგლოვიარებული საზოგადოება ჯერ ისევ ამ სამარეს ჩასცქეროდა, რომ კვლავ მივიღეთ სამწუხარო ამბავი: 11 აგვისტოს, კრეეშოვიცში (ავსტრია) გარდაცვალა აკადემიკოსი ივანე რომანოზის ძე თარხნიშვილიო.

განსვენებული კარგათ იყო ცნობილი მთელს ევროპაში, როგორც გამოჩენილი ფიზიოლოგი. რუსეთის მეცნიერთა შორის მას პირველი რიგის ადგილი ეჭირა. მას თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდა მეცნიერების წინსვლა-განვითარებაში, მისი სიკვდილი ერთობ დიდი დანაკლისია მთელი რუსეთისათვის, რომელიც ასე ღარიბია სამეცნიერო ძალებით.

† ი. რ. თარხნიშვილი.

აკადემიკოსი თარხნიშვილი ქართველ თავადებ თარხან-მოურავების გვარიდან იყო. იგი დაიბადა ს. ახალქალაქში 1846 წ. უმაღლესი სწავლა მიიღო რუსეთს, ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში და მერე საიმპერატორო სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში. კურსის გათავების შემდეგ ის აკადემიაშივე დასტოვეს პროფესორობისათვის მოსამზადებლათ. მან სპეციალობათ აირჩია ფიზიოლოგია და მთელის არსებით იწყო სამეცნიერო მუშაობა. 1870 წ. მისცა სადოქტორო ეგზამენი და დაიცვა დისერტაცია. 1872 წ. ორი წლით გაემგზავრა საზღვარ-გარეთ სწავლის განსაგრძობათ. მოიარა ევროპის ყველა გამოჩენილი საფიზიოლოგიო ლაბარატორიები და მეცადინეობდა სახელოვან მეცნიერებთან, სხვათა შორის კლოდ-ბერნარათან, პარიზში. 1875 წ. დამტკიცებულ იქმნა პროფესორათ ფიზიოლოგიის კათედრაზე სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, სადაც დაჰყო 1895 წლამდე; იმავ წელს დაინიშნა პროფესორათ პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ბიოლოგიისა და საზოგადო ფიზიოლოგიის კურსს.

პროფესორობის დროსვე იგი განაგრძობდა თავის სამეცნიერო კვლევა-ძიებას და აქვეყნებდა მრავალ საინტერესო და შესანიშნავ შრომას ფიზიოლოგიის საკითხებზე. დავასახელოთ რამდენიმე: პსიხო-მოტორული ცენტრები ახლათ დაბადებულ ცხოველებისა და მათი განვითარება სხვა და სხვა პირობებში; ცხოვრების ნორმალურ ძილის ფიზიოლოგია; თავ-მოკვეთილ ცხოველების ავტომატიური მოძრაობანი; ადამიანის კანის გალვანიურ ტოკების მოძრაობა მგრძნობელობის ორგანოთა გაღიზინებით და სხვა და სხვა პსიხიურ ზე-გავლენით; რა გავლენა აქვს ადამიანისა და ცხოველების ორგანიზმზე მუსიკას, რენტგენის სხივებს, ჰიპნოტიზმს; სმენის შთაბეჭდილებათა სუბიექტიცია; ადამიანის გულის ცემის აჩქარება სურვილისამებრ; ციცინათელას მანათობელ აპარატის მექანიზმი და სხ. და სხ.

აკადემიკოსი თარხნიშვილი აგრეთვე ცნობილი იყო როგორც შესანიშნავი პოპულიარიზატორი. მან დიდი სახელი მოიხვეჭა პეტერბურგში თავის საჯარო ლექციებით ფიზიოლოგიიდან, ბიოლოგიიდან და ჰიგიენიდან. განსვენებული მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მრავალ საზოგადო საქველმოქმედო დაწესებულებებშიც. იმყოფებოდა, მაგ., ტენიშევის სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოში, პედაგოგიურ აკადემიაში, იგი იყო აგრეთვე სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებათა თავმჯდომარეს ამხანაგი. მონაწილეობას იღებდა მრავალ სპეციალურ და პოპულიარულ სამეცნიერო ჟურნალებში, თვითონვე რედაქტორობდა ჟურნალს „სამედიცინო ქიმია და ორგანოთერაპია". ქართულ ენაზე საკუთრივ ქართველობისათვის განსვენებულს არაფერი არ გაუკეთებია, მარა მისი ნამოღვაწეი ქართველობასაც გვეკუთვნის ისევე, როგორც იგი ეკუთვნის კაცობრიობას. ჩვენ სამშობლოსადმი სიყვარულიც მის გულში არ უნდა ყოფილიყო ჩაფერფლილი. ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ბრიუსელში გამართულ ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე რეფერატი წაიკითხა ახალგაზდა ქალმა ქ-ნ ბარბარე ყიფიანმა, ი. რ. განსაკუთრებული სიამოვნება გამოსთქვა იმის გამო, რომ მეცნიერთა კონგრესის კათედრაზე მან დაინახა ქართველი ქალი.

აკადემიკოსი თ. თარხნიშვილი გარდაიცვალა 62 წლისა, სასიქადულო მეცნიერის შარავანდედით გარემოცული.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩვენში

— დღემდე ტფილისში ხოლერის გაჩენიდან ავათ გამხდარა 14 კაცი. ამათგან 12 გარდაცვლილა.

— ხოლერის აცრის მსურველთა რიცხვი თანდათან მატულობს ტფილისში, რადგან ზუბალაშვილის თავშესაფარში ექიმთა კომისიას უჭირდება ყველა მსურველთ აუცრას, ამიტომ ქალაქის რამდენიმე ნაწილში მოეწყობა ასაცრელი განყოფილებები. მაგ., ხარფუხში, ავლაბარში და ვოგზლის ქუჩაზე.

— გაზ. „კავ." პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ 18 ივლისს მინისტრთა საბჭოში შეტანილ იქნა პროექტი აგრარული რეფორმისა კავკასიაში.

— ტფილისში ამ მოკლე ხანს მიღებულ ცნობებით, პეტერბურგში შესაძლებლათ ვერ სცნეს კავკასიაში ნამესტნიკობის გაუქმება. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ერთი თვის შემდეგ დაბრუნდება კავკასიაში.

— ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ ნებართვა მიიღო სოფელ მათხოჯში (ხონის საბოქაულო) დააარსოს სამკითხველო.

— „ბაკუ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ნამესტნიკი ხელ-ახლათ იყო პეტერგოფში. ამხანათ ოთხ საათს დაჰყო აუდიენციაზე ხელმწიფესთან. პეტერგოფში მოიწონეს გრაფის მიერ წარდგენილი პროექტი რეფორმებისა და ის პრინციპები, რომელზედაც კავკასიის მართვა-გამგეობა უნდა მოეწყოს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინი ამ რეფორმების მომხრეა. გრაფ ვორონცოვის მდგომარეობა უფრო განმტკიცდა. განზრახულ რეფორმებს სახელმწიფო სათათბირო შემოდგომაზე განიხილავს. დარწმუნებულები არიან, რომ ამ რეფორმებს თვითონ გრაფი განახორციელებს ცხოვრებაში.

— სახალხო უნივერსიტეტის ქართულმა სექციამ დაადგინა დაიწყოს წერა-კითხვის მსურველთა მიღება ჯერ ერთ იმ სკოლაში, რომელიც იმყოფება გოგოლისა და ფეიერვერკის ქუჩების კუთხეში, აბანოების მაღლა. ამით აცნობებს ქართული სექცია ყველა წერა-კითხვის უცოდინარ მუშებს ქალებსა და ვაჟებს, რომ მიღება წერაკითხვის უცოდინართა დასახელებულ სკოლაში იწყობა ორშაბათს 25 აგვისტოდან. ჩაწერა შეიძლება აქ ყოველ დღე საღამოს 6 —8 ს., გარდა კვირაუქმისა. მიიღებენ ყველა წერა-კითხვის უცოდინარ ქალებსა და ვაჟებს, ვინც 16 წლისაზე პატარა არ იქნება. სკოლაში მოსიარულეთა რიცხვი რომ შესრულდება, სწავლის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული გაზეთებში. იმედია წელს უფრო მეტნი ჩაეწერებიან ამ სკოლაში ვიდრე შარშან იყო.

— გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადულის" მე-16 ნომერი (მცირე წლოვანთათვის).

— აკრძალულ ცნობების დაბეჭდისათვის თბილ. გენ.-გუბერნატორმა ყოველდღიური გაზეთების „ზანგაკის" და „ხომლის" რედაქტორები დააჯარიმა თვითეული 25 მან. თუ ვერ გადაიხდიან მიუსაჯა 7 დღით დატუსაღება.

— რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „თანამედროვე პიესები" გამოცემა ს. ტარუაშვილისა. წიგნი შეიცავს ორს ორიგინალურს და ორსაც ნათარგმ პიესებს: 1) „კოცნა პირველი და უკანასკნელი" გრ. გეერი. თარგმ. ს. ტ—სა; 2) „ფეხთა მეფე"—მისივე; 3) „მწუხარება

დედაა სიამოვნებისა ანუ ცოდვა“ დრამა 2 მოქ. ს. ტარ—სა. 4) „მოხერხებული ადუკანტი“ ხუმრობა 1 მოქ. მისივე. ფასი 30 კაპ.

რუსეთში.

— სიკვდილით დასაჯეს: ვარშავაში—რვა, სარატოვში—შვიდი, კრემენჩუგში—რვა, ტვერში—ერთი, ტომსკში—ერთი.

— სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: სიმფეროპოლში—ცხრას, ვარშავაში ცხრას, კიევში—ორს, რიგაში—ოთხს, სარატოვში—სამს, სარაპულში—ოთხს, ოდესაში—ოთხს. („რეჩი“ №№ 191—194).

— დააჯარიმეს შემდეგი გაზ.: „ხერსონ. ნოვ.“—500 მან., რადგან „რეჩი“-დან გადაბეჭდა ზოგიერთი ცნობები პირველ სახელმწ. დუმის დეპუტატების განთავისუფლების შესახებ; ლიბავის გაზ. „ლეპ. ატდ.“—3000 მან.

— გაანთავისუფლეს მოსკოვის ციხიდან 1-ლი სა. სახელმწიფოს დუმის დეპუტატები, რომელნიც დაპატიმრებულნი იყვენ ვიბორგის მოწოდების თაობაზე.

— ცარიცინში ბერ ილიოდორის „საუბრის“ შემდეგ მისმა მსმენელებმა გალახეს ინტელიგენტები.

— ქ. ეკატერინოსლავში ერთი თვით დააპატიმრეს გაზ. „პრიდნ. კრ.“ ფელეტონისტი მ. ილიდორეს და იოანე კრონშტადელის წინააღმდეგ დაწერილ სტატიისათვის.

— მთავრობის განკარგულებით მოსკოვში შესწყდა მოქმედება პიროგოვის საზოგადოებასთან არსებულ კომიტეტისა, რომელიც დახმარებას უწევდა მოუსავლობისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ.

— რადგანაც პოლიაკები ბოიკოტს უცხადებენ ვარშავის უნივერსიტეტს, ერთი მეორეზე მას თავს ანებებენ პოლიაკი—პროფესორები.

— ოდესელი მოკავშირენი სთხოვენ სტოლიპინს გააძევოს ქ. ოდესიდან ოთხი პროფესორი.

— ფინლიანდიაში დიდის ყურადღებით ეკიდებიან ტოლსტოის იუბილეის. გაზეთებში აუარებელი წერილები იბეჭდება ტოლსტოიზე. ერთს ბიოროგრაფიულ წერილში მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ტოლსტოი ჩამომავლობით ნემეცია. მისი წინაპარი დიკი გადმოსახლებულა გერმანიიდან, რომლის ერთ-ერთმა შთამომავალმა პეტრე დიდის დროს მიიღო გრაფობაო.

— ქ. ეკატერინოსლავში 3 აგვისტოს დიდის ამბით გაიხსნა ახალი საზოგადოება „ორთავიანი არწივი“. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა, სადაც ჭეშმარიტ-რუსულათ ეხებოდენ ებრაელებს, მათ ექსპლოატაციას, ძალმომრეობას და სხვ. საზოგადოების გახსნას დაესწრენ კიევისა და ოდესის რაზმელები. იმავ დღეს საღამოთი დაიწყო ეკატერინოსლავში ებრაელების აკლება-აწიოკება. ეკატერინოსლაველებმაც გამოსცადეს შავი რეზინის ლახტის ძალა. შავრაზმელები (მომეტებულ ნაწილათ ახალგაზდებია) უცვივიან სახლში ებრაელებს, ამტვრევენ კლიტეებს, ჭურჭლებს, თხოულობენ ფულს და ლუდს, იტაცებენ ავეჯულობას, არ ინდობენ არც მოხუცს, არც ბავშვებს (ერთ ებრაელის სახლში აკვნიდან ამოგლიჯეს სამი თვის ბალღი და იატაკზე გადისროლეს); დადის 20—30 შავრაზმელი ერთად (მათ შორის დედაკაცებიცაა) და რეზინებით სცემენ ებრაელებს... პოლიცია თითქმის არავითარ ზომებს არ იღებს მათ წინააღმდეგ რაზმელები ხმა მაღლა აცხადებენ, რომ იმათ არავისი არ ეშინიათ და იცავენ სამშობლოს...

— ამ ცოტა ხანში ქ. სარატოვის ერთ-ერთ გარეთ უბნის ახლო ბავშვები სთხრიდენ მიწიდან ჭიებს თევზების დასაჭერათ. უცბათ ნახევარი არშინის სიღრმეზე ისინი წააწყდენ ტომარას, რომელიც ამოსწიეს, მარა ვერ ამოიღეს. ბავშვებმა გასჭრეს ტომარა და გაშეშდენ: ტომარაში იდვა ადამიანის გვამი. ბავშვები გაიქცენ სახლებში და შეატყობინეს მშობლებს, რომელნიც მოგროვდენ და დაუწყეს ნიჩბებით მიწას თხრა. ერთს ორმოში იპოვეს ოთხი ტომარა ადამიანის გვამებით. მეხუთე გვამი იდვა კუბოში. ყველანი მიხვდენ, რომ ესენი სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამომხჩვალთა გვამებია, ყველას კისერზე მოდებული ჰქონდა თოკი... ჩაცმულნი იყვენ ღარიბათ, ტანსაცმელი ხურათ; ერთს ფეხებზე ეცვა ქალმები. შეიყარა ორი ათას კაცამდის. პოლიციამ ძალით გაფანტა ხალხი. ყველა აღელვებული იყო სხვათა შორის იმით, რომ გვამები ზეზეურათ იყო ჩაყრილი მიწაში უკუბოოთ იმ ადგილას, სადაც ყრიან ქალაქის ნაგავსა და უსუფთაობას.

— შავი ძალები დიდის ამბით დაფაცურობენ, რომ ხელი შეუშალონ ტოლსტოის იუბილეის. ჩვენ ვიცით, რომ მღვდლებმა მიიღეს სინოდისაგან მოწერილობა გასწიონ აგიტაცია ტოლსტოის იუბილეის წინააღმდეგ. ესენიც, რაც ძალა და ღონე აქვთ, სემინარიულათ და ჭეშმარიტ-რუსულათ ლანძღავენ და არ ზოგავენ დიდებულ მწერალს. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ მოგილიოვის ეპისკოპოსს მიტროფანეს, წევრს სახელმწიფო დუმისას, რომელმაც მოწოდება გამოუშვა თავის სამწყსოსადმი ტოლსტოის იუბილეის დღესასწაულობის წინააღმდეგ. აი რასა სწერს ის, სხვათა შორის, ტოლსტოიზე: „ლ. ნ. ტოლსტოის სახელი თითქმის დავიწყებას მიეცა. იმის ლიტერატურულ დიდებას მკრთალი ფერი დაედო, რადგანაც ის დაადგა დემაგოგიის გზას; მან თავის გაშმაგებულ წერილებით ქრისტეს სარწმუნოებაზე და სახელმწიფოზე გაითხარა ორმო, რომელშიაც თვითონვე ჩავარდა. გაბრაზებული, ურცხვი და თავხედი სატანიურ სიამაყით ათავებს თვის საზიზღარ საუკუნეს განდევნილი ეკლესიიდან უპკო მოხუცი“. ამნაირად ამკობს ქრისტეს ეკლესიის წარმომადგენელი იმ კაცს, რომლის სახელი მთელ დედამიწის ზურგზედაა მოფენილი. სულიერ მამებს მხარს უჭერენ ზოგიერთი გუბერნატორები, რომელნიც უკრძალავენ ხალხს, რომ მათ არ მისცენ საზოგადო ხასი-

თი ტოლსტოის დღესასწაულს. ამ დღეებში განათლების მინისტრმაც დაგზავნა ბევრ ქალაქებში ცირკულიარი, სადაც ის მასწავლებელთ და მოსწავლეებს უკრძალავს მიიღონ მონაწილეობა ტოლსტოის მომავალ იუბილეიში.

ოსმალეთი.

ორთქლმავალ გემ „სენეგალით“ პირიზიდან სტამბოლს მოვიდა სულთანის ძმისწული, ახალგაზდა ოსმალთა მეთაური, პრინცი საბაედინი. მან მოასვენა თ.ვის მამის დემადი-მაჰმუდის ცხედარი, რომელიც ცხრა წლის წინათ გაიქცა სტამბოლიდან. სამაედინს შეხვდა სტამბოლის მცხოვრები. ხალხით გაჭედილი იყო ნაპირის ქუჩები, რამდენიმე ათმა ორთქლმავალ გემმა ყველა ერთა დეპუტატებით შეეგება „სენეგალს“.

სულთანის იახტა იმპერატორის ოთხი პრინცით და ორი მარშალით გავიდა ზღვაში, „სენეგალის“ შესახვედრათ.

— ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ჩაბარეს ტახტის მემკვიდრე პრინც რებად-ფაშას თვისი თვიური ჯამაგირი 200,000 პიასტრა (პიასტრა 8 კაპ.). ეს პირველი შემთხვევაა, რომ სამინისტროს იმპერატორის მოგვარესთვის დამოუკიდებლათ მიეცეს ჯამაგირი. პრინცმა რებადმა ჯავშნიანი გემების „ენვერისა“ და „ნიაზის“ ასაგებათ შესწირა 50,000 პიასტრა, და მისმა ორმა ვაჟმა 10,000 პიასტრა თითომ.

—„რეჩი“-ს კორესპოდენტთან ბაასში ოსმალეთის სახალხო განათლების მინისტრმა ხაკი-ბეიმ სხვათა შორის გამოსთქვა, რომ დღეს ოსმალეთში სწავლა-განთლების საქმე არის კერძო თემებისა და საზოგადოების ხელში, ვისაც როგორ სურს იმ ენაზე ასწავლიან, არაა სავალდებულო, რომ ოსმალურ ენაზე ასწავლონ. მომავალშიაც, როდესაც მთელი სახელმწიფოს სივრცე სახალხო სკოლებით მოიფინება, კერძო ინიციატივას სწავლის საქმეში ფრთა არ შეეკვეცება, ჩვენში არ არის კლერიკალიზმი და არც მასთან ბრძოლაა საჭირო. ყველა ერს ექმნება მინიჭებული უფლება, რომ თავიანთი ახალგაზდობა აღზარდოს სამშობლო ენაზე.

— ოსმან-ნიზამიმ, რომელიც ეხლა სამხედრო მინისტრის თანამდებობას ასრულებას, გერმანელ ჟურნალისტთან ბაასში გამოსთქვა ის აზრი, რომ აუცილებელი საჭიროა ოსმალეთის არმიის რეფორმა გერმანიის არმიის მგზავსათო. მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭიროა არმია გაიწმინდოს რექციონურ აფიცრებისაგანაო. ყველა ის აფიცრები, რომელთაც რაიმე ჩრდილი მიაყენეს თავიანთ თავს ძველი რეჟიმის დროს, დაუყონებლივ დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდან.

— სომეხთა რევოლიუციონურმა საზოგადოებამ, „დაშნაკცუტიუნმა“ სტამბოლში განაუშვა მოწოდება, რომელშიაც გამოსთქვა თავის მოთხოვნები: 1) მოძრაობის სრული თავისუფლება სომეხთა პროვინციებში, 2) ძალათ წართმეულ სათემო მამულების დაბრუნება, 3) გაუქმება ამ 13 წლის განმავლობაში გამოცემულ სომეხთა შემავიწროებელ დადგენილებებისა, 4) განთავისუფლება ყველა პოლიტიკურ სომეხ პატიმართა და სრული ამნისტია ყველა ემიგრანტებს, რომლის რიცხვი 100 ათასამდე ადის.

დასასრულ მოწოდებაში ნათქვამია, რომ პარტია „დაშნაკცუტიუნი“, რომელიც მოქმედებს ოსმალეთში 18 წელ, იხმარს მთელ თვის ძალას, რომ გაამაგროს ოსმალეთში პოლიტიკური თავისუფლება. „ჩვენ ვიყიდეთ თავისუფლება ჩვენივე სისხლით და დავიცავთ იმას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. არავის ის ჩვენთვის არ უბოძებია; არავის არა აქვს უფლება წაგვართოს ის“!

სპარსეთი.

მარანდა. მივიდნენ თავრიზს 600 მაკინის მხედარი. ამ დღეებში ეინ-უდ-დოულეს ბანაკს შეუერთდება ბატარეია და თეირანის კაზაკთა რაზმი.

— ეინ-უდ-დოულემ თავრიზში გამოუშვა მოწოდება მოქალაქეთადმი და აძლევდა წინადადებას გაეგზავნა თითეულ უბანს მისთვის რამდენიმე დეპუტატი მდგომარეობის გამოსარკვევათ. მოწოდება დარჩა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. 19 აგვისტოს შეიარაღებულმა ფიდაებმა ენჯუმენების დეპუტაციის მეთაურობით გამოაცხადა ქ. თავრიზის უფროსათ სახალხო მილიციის ყოფილი ორგანიზატორი უჯალ-ულ-მულკა, რომელმაც აღუთქვა წესიერების დამყარება და ნაძირალების თავგასულობის ალაგმვა.

— ძლიერი აღელვება გამოიწვია ბაგე შაჰში ბირაზსა, არმანსა, ტალიმსა და ტარბში არეულობათა შესახებ ცნობამ. თავრიზელები თავიანთი შეუპოვარი ბრძოლით შაჰის რექციონურ მთავრობასთან აღფრთოვანებს ხალხს. ხალხს სურს მხარი დაუჭიროს მათ.

— თეირანში დააპატიმრეს ცნობილი კაპიტალისტი გაჯი.სადიკ-ხანი და რვა კიდევ სხვა სოვდაგარი. ამ უკანასკნელ ხანებში კამარილამ სისტემათ შემოილო მდიდარი სპარსელების დაპატიმრება იმ მიზნით, რომ ფულები აიღოს და გაღარიბებული ხაზინა და თავის ჯიბეები გაავსოს.

— ქერბალაის სამღვდელოებას კრებაზე დაუდგენია, რომ გაუგზავნონ ხონთქარს წერილი და აცნობონ მას, რომ ის აღიარებულ იქმნება შიიტის მორწმუნეთა მეთაურათ, თუ ის შიიტიზმს არ დაუწყებს ბრძოლას და დაეხმარება მათ ბრძოლაში ხალხის მტერთან—უზურპატორ შაჰისთან. („რეჩი“).

საღამოს ჟამს.

დასაღამოვდა, სიცხემ იკლო სულ შემხუთველმა,
თექა აშალა გარინდულმა მთა, მინდორ-ველმა,
ნიავმა იწყო თავისუფლათ სრბოლა-ნავარდი,
ამოღელვარა მოკეკლუცე ია და ვარდი.

ლაჟვარდმა ზეცამ ველს აფრქვია ცვარნი ციურნი;
ყაშკაშ მთოვარემ მიმოჰფინა სხივნი ძლიერნი,
რომლის სიტურფით სილამაზით არსნი იხიბლნენ
და ყოვლის გული მისსა ეშხის მახით დაებნენ.

ქალაქ თბილისი, გაჭიმული მტკვრის კიდეებზე,
მთლათ ახმაურდა, უკუაგდო სიცხის ბორიო
და მედიდურათ, ამაყურათ სივრცეს შეჰხედა,
თითქოს ამ ქვეყნად არავინ არს ჩემი სწორიო.

განცხრომის ძენი, ტკბილ ცხოვრებით დანაამები,
ლხინს განაგრძობენ... ძვირფასია მათთვის წამები!
მათ ბაგეთაგან მარად მოსჩანს ღიმი ნეტარი,
ტკბილმა ცხოვრებამ გულს შეუწრთო თვისი ნექტარი.

დაბურულ ბაღში ქვეკრობენ, გააქვთ თარეში,
მათი გახარწნილნი სურვილები სჩანან თვალებში;
უხვი საღამო მარტოდ იმათ უხიბლავს გრძნობას,
ოცნება ცელქი იმათ უწყებს სივრცისკენ ხმობას.

ხალხში-კი ისევ სიბნელეა გამეფებული,
შავი ღრუბლები დასწოლიან და დაუჩრდილავთ;
მრავალ მებრძოლი მოდარაჯე წმინდა მიზნისა
მისსა ტრაპეზზე მზაკვრულათა ტყვით გაუგმირავთ.

ბულბულის სტვენა საამური მათ ყურს არ სწვდება,
დაკოდილ გულით მარტოდ გმინვა და წყევა ხდება;
ცეცხლი ბოლშისა, მტარვალთადმი შურის ძიების -
მათ მგზნებარ გულში გუზგუზდების, ნელ-ნელ ენთების.

და ვაი მაშინ მწვალებელთა, სისხლის მნთხეველთა,
სულ სხვა ნიავი რომ მიმოჰბერს მთა, მინდორ-ველთა
—ხალხის მოძულეთ, მისს იდეის მარად მგმობელსა,—
გადაუხდიან „სიკეთისთვის სამადლობელსა“!

დ. თურდოსპირელი.

მაღალს წრეში.

მოქმედება მეორე.

(ოთახი მდიდრულათ მოჩითულია. კედელზე სარკეა. სავარძელზე არჩილი წევს გაუხდელი და საბანი ახურავს. შემოდიან გრიშა და კოტე).

გრიშა. არა, ამდენ ხანს ძილი გაგონილა? (აღვიძებს არჩილს) არჩილ, არჩილ! (არჩილი გაინძრევა და გადაბრუნდება).

კოტე. დაანებე თავი, ნუ აღვიძებ.

გრიშა. როგორ თუ ნუ ვაღვიძებ? საცაა დოღი დაიწყება. (აღვიძებს) არჩილ, არჩილ! დოღი დაგავიწყდა?

არჩილი. (თვალებს ახელს და გადმობრუნდება). ჰაა, დოღი? (თვალებს იფშვნეტავს) ოოჰ, გაუმარჯოს გრიშასა და კოტეს. (ხელს ართმევენ ერთმანეთს) ასე ადრე სად ეშმაკში ეგდევით?

კოტე. (საათს დაჩერებია) შენ ადრე გეგონება! პირველის ნახევარია!

არჩილი. (წამოჯდება) რას ლაპარაკობ? რათა ძგონებია! (ხელს გაიწვდის მაგიდისაკენ და ზარს რეკავს. ოტა ხნის შემდეგ შემოდის მოსამსახურე).

მოსამსახურე. რას მიბრძანებთ, კნიაზო?

არჩილი. შე ყურუმსაღო, რატომ არ გამაღვიძე ამდენს ხანს?

მოსამსახურე. ძალიან გეძინათ და ვეღარ გაგიბედეთ, კნიაზო!

არჩილი. პირი დამაბანინე. (მოსამსახურე გადის, არჩილი ადგება და თმასა და წვერ-ულვაშს ისწორებს) ძალიან მძინებია სწორეთ!

გრიშა. რანაირათ გძინავ ამდენს ხანს, მიკვირს.

არჩილი. განა რამდენს ხანს მეძინა? კარგათ გათენებული იყო, სახლში რომ დავბრუნდი.

კოტე. კლუბში იყავი?

გრიშა. მაგას რაღა კითხვა უნდა!

არჩილი. ვიყავი, მაგრამ წავაგე.

გრიშა ერთი ეს მითხარი, მოგიგია როდისმე!

არჩილი. რას ლაპარაკობ? როგორ არ მომიგია! შარშან არ იყო, რომ ერთ საღამოს რვაათასი მოვიგე?

გრიშა. ის იყო და ის!

კოტე. არჩილ! რამდენი გექნება სულ წაგებული?

არჩილი. რა ვიცი. ორმოცდაათი ათასზე მეტი უნდა იყოს. ბევრი გეძებეთ გუშინ, მაგრამ ვერ გნახეთ. კლუბიდან გავსწიეთ ჩვენს რესტორანში და დილამდის ვქეიფობდით. (შემოდის მოსამსახურე. თასი მოაქვს, წყალი, საპონი და პირსახოცი. არჩილი პირს იბანს).

გრიშა. კუცკა-მუცკა იყო?

არჩილი. შენ რას ჩააცივიდი კუცკა-მუცკას?

გრიშა. რაც გინდა თქვი და კარგი გოგოა.

არჩილი. ამ ტუტუცს უყურეთ! განა გრიშა ვარ, რომ ცუდი ამეყვანა!

გრიშა. თუ ძმა ხარ, ერთ ღამეს დამითმე.

არჩილი მოშორდი თავიდან.

გრიშა. შენ მაინც ცოლს ირთამ და კუცკა რაღათ გინდა?

არჩილი. ცოლი თუ შევირთე, მაშინ შეიძლება დაგითმო. (არჩილი პირს იხოცავს. მოსამსახურეს გააქვს ტაშტი და წყალი).

კოტე. თუ არა, მაშინაც სათუოა? (იცინის).

არჩილი. მაშ რა გეგონა?

კოტე. არა, რაკი ცოლს შეირთამ, მერე კუცკა-მუცკები აღარ შეგეფერება.

არჩილი. (სარკესთან თმას და წვერ-ულვაშს ივარცხნის, შემდეგ ულვაშებს აიკრავს) რა შვილია! თუ ცოლი შევირთე, აბა მაშინ უნდა უყურო კუცკა-მუცკებს. იმისთანებს მოვიყვან, რომ თვალები გრჩებოდეთ ზედ, თვალები.

გრიშა. (საათს დაჩერებია) წავიდეთ, თუ მოხვალთ თორემ დაგვაგვიანდება.

არჩილი. არ იცით, რომელი ცხენები იღებენ მონაწილეობას დოღში?

კოტე. (უბიდან დაბეჭდილ ქაღალდს ამოიღებს და არჩილს აწვდის) აი და წაიკითხე.

არჩილი. არა, შენ წაიკითხე.

კოტე. (კითხულობს) მეხუთე გრუპპა. სამი ვერსია.

საერთო გზა. პირველი —ირემა, მეორე—ჩაჩისბეი, მესამე—ვოლგარი.

არჩილი. ვოლგარი აიღებს.

კოტე. საეკვოა,—ჩაჩისბეი ძალიან გარბის. (კითხულობს) მეშვიდე გრუპპა. ვერს ნახევარი. ფოკი, კომეტა, გარი, მტრის ბრაზი.

არჩილი. ფოკს ვერც ერთი ვერ მოწვდება,—სანაძლეოს მოგცემთ.

კოტე. (კითხულობს) მეოთხე გრუპპა. ვერს ნახევარი. შანელი, ზარემა, განკა. მეცხრე გრუპპა. სამი ვერსი. დალმატი, სესტერცია, ვიზაპურიშკა, ჩ-მბარი, სხივი, პირატი.

არჩილი. დალმატი ყველას გაასწრობს, ოო! რა ცხენია, რა ცხენი! პირატისა კი არ ვიცი მხოლოთ! ერთის სიტყვით ან დალმატი ან პირატი.

გრიშა. სხივსაც არა უშავსრა.

არსილი. სად სხივი, სად დალმატი, რას ლაპარაკობ!

კოტე. (კითხულობს) პირველი გრუპპა. ვერს ნახევარი. ნონეტი, კანტი, გექტორი, ნიგილისტი, ურნა, კაჟი, ფლეშ-როიალი, რაზგრომი, მირტა.

არჩილი. ნონეტთან ყველა ქვით!

გრიშა. უკაცრავათ! მე გექტორზე ვითამაშებ და შენ ნონეტი მიირთვი,—ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს.

არჩილი. ვერ მოვდივარ, თორემ იცოცხლე, მე შენ ტყავი გაგაძრო!

კოტე. (კითხულობს) მერვე გრუპპა. ვერს ნახევარი. ატლასი, სარმატი, ალტაირი, არაბჩიკი, სალამანდრა, პრინცესსა, ტერებელლა, პოპეია, რეტვიზანი, ლორდ-ბილბასი.

არჩილი, ატლასში და სარმატში ან ერთი მივა უმალ ან მეორე.

კოტე. (კითხულობს) მესამე გრუპპა. ხაი-ფორესტი.

არჩილი. (გააწყვეტინებს) ამ ცხენს სრულებით არ ვიცნობ.

კოტე. (განაგრძობს) შეილოკი, მარსელიეზა, ნერეიდა, მისს დუნკანი, ბობო, ჟირონი, პოპუნნი, უნდინა, მანონი, სემპერ-ავანტი.

არჩილი. ნერეიდაზე ითამაშეთ და, თუ წააგოთ, პირში ჩამაფურთხეთ.

გრიშა. (საათს დაჩერებია) რასა შვრებით? საკაა დოღი კიდეც დაიწყება. რაღას უყურებთ?

კოტე. (ქაღალდს დაჰკეცავს და უბეში იდებს. არჩილს) წამო, რაღა!

არჩილი. არა, მე არა მცალია!

კოტე. რატომ არა გცალია?

არჩილი. ალბათ მაქვს რაიმე საქმე.

გრიშა. საიდუმლოა?

არჩილი. საიდუმლოც არის და არც არის.

კოტე. (იცინი!) რაკი ამისთანა საიდუმლო ყოფილა, არ შეიძლება ჩვენ გვანდო?

არჩილი. დღეს ჩემი ბედი წყდება: ან შევირთავ ცოლს, ან არა.

კოტე და **გრიშა** (ერთათ). ჰხუმრობ?

არჩილი. არა, მართალს ვამბობ. მომწყინდა ასე თრევა. ჩვენი ცხოვრება რა ცხოვრებაა? კლუბი, რესტორანი და დოღი, დოღი, რესტორანი და კლუბი!

გრიშა. ერთი რამ დაგავიწყდა—საროსკიპო! (იცინიან).

არჩილი. ჰო და უნდა თავი დავანებო ყოველივე ამას.

კოტე. რამდენი ხნით?

არჩილი. სამუდამოთ (გრიშა და კოტე იცინიან).

გრიშა. მაგას მაინც არ დავიჯერებ, ჩემის თვალით რომ ვნახო.

კოტე, მაშ ირთამ, ირთამ ცოლს!

არჩილი. ვაპირებ.

კოტე. მე მართლა ჭკვიანი მეგონე.

გრიშა. მაგას თავი დავანებოთ და ერთი ეს მითხარი, არა გვპატიჟობ იქ, შენ რომ იცი? აფინის საღამოზე! გახსოვს? (იცინიან) იცი,—რაღა, ცოლს ირთამ, ერთი გამოსათხოვარი საღამო გაგვიმართე კიდევ, თორემ შემდეგ ცოლშვილიან კაცს აღარ შეგეფერება.

კოტე. რაც მართალია, მართალია.

არჩილი, (წამოხტება) წადით, აღარ მომშორდებით? ნომ გაგვიანდებათ! მეც საქმე მაქვს.

გრიშა. არა, არჩილ, ჯერ შემოგვფიცე, რომ ჩემი წინადადება შეასრულო, თორემ აქედან ფეხს არ მოვიცვლი. თუ ჩვენ არ დაგლოცეთ ჩვენს სალოცავში, ისე ხეირს ვერ შეეყრები.

არჩილი. ეჰ, რაღა დაგიმალოთ. საქმე ისე ეწყობა, რომ ორასი ათასი ხელში ჩამიგორდება. ერთ აფინის საღამოს კიდევ გაგიმართავთ მაშინ და მთელს ჩემს წარსულს გამოვეთხოვები.

კოტე. და განბანილი და განწმენდილი შეეყრები ახალსა ცხოვრებასა (იცინიან, გრიშა და კოტე ხელს ართმევენ არჩილს და მიდიან).

არჩილი. ვოლგარზე, ფოკზე, ატლასზე, სარმატზე, ნონეტზე და დალმატზე რამდენიც გინდათ, დასვით. იცოდეთ, რომ არ წააგებთ. მართლა, ნერეიდაზე შეგიძლიათ კიდევ, რომ ითამაშოთ. (გრიშა და კოტე გადიან. არჩილი ოთახში დადის და უსტვენს, შემდეგ სარკესთან მივა, ულვაშების ასაკრავს მოიხსნის, ულვაშებს ისწორებს) არა, კმარა ამგვარათ ცხოვრება. ჩემს სიყმაწვილეს საკმაო მსხვერპლი შევსწირე. აწი კი დროა, რომ უფრო დინჯ ცხოვრებას მოვკიდო ხელი. კლუბი, ღვინო, ქალები—ყოველივე ეს მომბეზრდა. ახლა დასვენებაა საჭირო,—ეს კი ჩემისთანა კაცისათვის ოჯახს გარეშე შეუძლებელია. (დადის) მართალი რომ ვთქვა, მე ლიზა მომწონს, სიყვარულით კი არ მიყვარს, მაგრამ ის უმანკო, მშვიდი ქალია, მდიდარი და პირველი ოჯახის შვილი. ყოველისფრით ჩემი შესაფერისია. (პაუზა). ცალიერი გრძნობა მხოლოდ იქ არის გამოსადეგი, როცა მე სიამოვნებას ვკრეფავ ხან აქ, ხან იქ; ხოლო ამგვარ საქმეში გონებაა გადამწყვეტი. გონება კი მიბრძა-

ნებს, რომ მე ლიზა უნდა შევირთო. გარეშე ყოვლისა ჩემი ფინანსიური მდგომარეობა იმდენათ დახლართულია, რომ მე მხოლოდ ცოლი მიხსნის. ამგვარ საცოლოს კი მე ვერ ვიშოვნი. (პაუზა). ის კი დამთანხმდებაბ? რა თქმა უნდა! რატომაც არ უნდა დამთანხმდეს! ლამაზი ვარ, ახალგაზრდა, საუკეთესო გვარის შვილი. მაშ დღეს უნდა გადაწყდეს ჩემი ბედი. დარწმუნებული ვარ, რომ დასტურს მივიღებ, (სარკეში იხედება და ულვაშებს ისწორებს, შემდეგ ზარას რეკავს, შემოდის მოსამსახურე).

მოსამსახურე. რას მიბრძანებთ, კნიაზო?

არჩილი. მომიტანე რუხი ჩოხა და ახალი ახალუხი. (მოსამსახურე გადის, არჩილი დადის და უსტვენს. შემოდის მოსამსახურე ჩოხა-ახალუხით. არჩილი იცვამს და გადის).

მოსამსახურე. გვარიანი ვაჟ-კაცია ჩემი კნიაზი, მაგრამ გვარიანათაც უყვარს ფულების ფლანგვა და არშიყობა. ნეტავი რაში ჭამს ამდენ ფულებს? მე რომ ის მომცა, რასაც ეგ ერთ საღამოს შეჭამს, მეტი არაფერი არ მინდა. დაბრძანდი, ჩემო სპირიდონ ტახტზე და იცხოვრე არხეინათ. (კარი გაიღება და შემოდის ანეტა, რომელსაც მეტ სახელათ კუკა-მუკას ეძახის არჩილი).

ანეტა (მოსამსახურეს). არჩილი სად არის?

მოსამსახურე. აგერ ახლა წაბძანდა, ბარიშნა!

ანეტა (სიცილით). აი მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე.

მოსამსახურე. რას მერჩით, ბარიშნა, რა დამიშავებია?

ანეტა. აბა სადაური ბარიშნა ვარ?

მოსამსახურე. ასე იტყვიან, ქალბატონო! ნუ გამიწყრებით და ჯვარ-დაწერილი არა ბრძანდებით.

ანეტა. მაშ ვინც ჯვარდაწერილი არ არის, ყველა ბარიშნაა?

მოსამსახურე. ბარიშნა არ არის, მარა მაინც ასე ითქმის.

ანეტა (მოწყენილი დაჯდება). არა, ჩემო სპირიდონ! აგრე კი არ ითქმის,—ჩვენისთანა ჯვარ-დაუწერლებს საყვარელს, ხასას უძახიან. შენც ასე უნდა გეთქვა, მაგრამ ველარ გამიბედე; ასე არ არის?

მოსამსახურე. როგორ გეკადრებათ, ბარიშნა... ქალბატონო! თქვენ ისე უყვარხართ კნიაზს, რომ ნამდვილი ცოლი არ უყვარს ასე სხვას.

ანეტა. ნამდვილი ცოლი, ნამდვილი ცოლი. მე კი არ მიყვარს?! მაგრამ მაინც ხასა ვარ, საყვარელი (ჩაიცინებს) სპირიდონ, შენ ახლა წადი, მე დაღალული ვარ, ცოტას დავისვენებ. (მოსამსახურე გადის, ანეტა მაგიდასთან გადაჯდება, არჩილის სურათს აიღებს და დაეაჭერდება) ხასა, საყვარელი. (ამოუჯდება გული და ტირილს დაიწყებს. შემდეგ ხელებს ასწევს, გაიზმორება) რა ვქნა, რა ვქნა, რა ვქნა? ნუ თუ არსად არ არის სამართალი? (თვალებს იწმენდავს, ადგება, სარკეში იხედება და შემდეგ ზარს რეკავს. შემოდის მოსამსახურე) სად წავიდა არჩილი, არ იცი?

მოსამსახურე. რა მოგახსენოთ?

ანეტა. იქნება ჩემთან წამოვიდა. მე წავალ და, თუ ჩემს მოსვლამდე დაბრუნდეს, მოახსენე, რომ მომიცადოს (გასვლას აპირებს, მაგრამ შემოდიან ლევანი და მიხაკო).

ლევანი და **მიხაკო** (ერთათ). აა, კუკა-მუკა! (მივარდებიან და ერთი ერთ ხელზე კოცნის, მეორე მეორეზე).

ანეტა. თუ ღმერთი გწამთ, კუკა-მუკას ნულარ დამიძახებთ.

ლევანი და **მიხაკო** (ერთათ). მაშ რა დაგიძახოთ? (დასხდებიან).

ანეტა. ჩემი სახელი ანეტაა. — ძალიან კარგათ იცით.

მიხაკო (გააჭიანურებს). კუკა-მუკა და (სხარტათ) ანეტა! რა შედარებაა!

ანეტა. როცა კუკა-მუკას მეძახით, ასე მგონია, რომ ამითი ჩემი დამცირება, ჩემი შეურაცყოფა გინდათ.

ლევანი. თქვენი შეურაცყოფა? (მიუახლოვდება და ხელზე კოცნის) განა შეიძლება ანგელოზის შეურაცყოფა?

ანეტა (ხელს გამოჰგლეჯავს). რა დაგემართა? გამიგონია ასე წარამარა ხელზე კოცნა? ნეტა რამ დაგამსგავსათ ამდენათ ერთმანერთს ყველა ძმაკაცები?!

მიხაკო. ჩვენ, მამაკაცებმა, ღრმათ ვიცით სიყვარული და ქალებს ეს ვერ შეგიგნიათ.

ანეტა (ჩაიცინებს). თქვენ, მამაკაცებმა არც კი იცით, თუ რა არის ნამდვილი სიყვარული. თქვენ იცით პირუტყვული გრძნობა, მეტი არაფერი.

ლევანი. სწორეთ ამ გრძნობაშია, ჩემო კარგო, ჩემო ანგელოზო, ნამდვილი სიყვარული!

ანეტა. ამ გრძნობაში არავითარი სიყვარული არ არის, არავითარი! თქვენ ჩვენი სხეული გიყვართ მხოლოდ და არა ჩვენი სული. ჩვენ—ქალები კი მხოლოდ სულს ვაფასებთ და, სხეული თუ არ გვეზიზღება, მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ჩვენს საყვარელ ადამიანს ეკუთვნის.

მიხაკო. სული მე არც მინახავს და არც ვიცი, რა არის ან სად არის. (მიუახლოვდება ანეტას) ამისთანა ლამაზ ცაცებს რომ დავინახავ, (ხელებზე ხელებს მოჰკიდებს) მაშინ კი არ შემიძლია, რომ არ ვაკოცო. (კოცნას უპირებს ხელებზე, მაგრამ ანეტა ხელებს გამოჰგლეჯავს და ადგება).

ანეტა. რატომ არ შეგიძლიათ, რომ ადამიანურათ მელაპარაკოთ და თქვენი ალერსით თავი არ მომაბეზროთ? (კარებისაკენ მიდის).

ლევანი და **მიხაკო** (ერთათ) სად მიხვალთ?

ანეტა. არჩილი ჩემთან არის ალბათ. (გადის).

მიხაკო. რა გოგოა, რა გოგო!

ლევანი. საიდან გამოძებნის ხოლმე ის შეჩვენებული ამისთანა ანგელოზივით ქალს?

მიხაკო. ქალებში სწორეთ რომ ძაღლის ღობალი აქვს. მე ამისთანას ლოლათაც ვერ ვიშოვი, რომ მოვინდომო და იმას კი საყვარლად მოსდევენ!

ლევანი. ერთი გოგო მე გუშინ წინ საროსკიპოში ვნახე,—ჰმუ! (ხელის თითებზე იკოცნის) თაფლია, თაფლი!

მიხაკო. ევა, მალალ-მალალი, შავგვრემანი, ყაპოიანი?

ლევანი. ოო! სწორეთ! მერე ცუდია?

მიხაკო. კარგია, მაგრამ კუკა-მუცკასთანა მაინც არ არის.

ლევანი. როდის გავისეიროთ ერთი იქითკენ კამპანიით?

მიხაკო. იქით რომ გაისეირო კამპანიით, კარგათაც უნდა იქეიფო,—უამისოთ გემო და ლაზათი არა აქვს. კარგათ ჩაქეიფებას კი კარგი ფულები უნდა. შენი არ ვიცი და მე ჯერ-ჯერობით ფულებზე ძალიან მწყრალათა ვარ.

ლევანი. იცი, მე რა მიყვარს? ახალწელიწადს რომ ვიყავით ერთათ!

მიხაკო (გაიცინებს და ბეჭებზე ხელს დაჰკრავს) თუ არჩილმა ფული მოიგდო, მაშინ კი ვიცურავებთ ტიტველ ქალებში. კარი გაიღება და შემოდიან ერთი აფიცერი, ერთიც ერის კაცი, ორივე მხარე თავს უკრავენ ერთმანეთს).

ვანი

(შემდეგი იქნება),

ასე რად ხდება?

—

ოხ... იქ კვლავ ისმის კვნესა ჩაგრულთა,
შორით იტაცებს ლაღი ნიავი;
კვლავ ღელავს ქუჩა, იმის გულ-მკერდზე
ამაყათ მოსჩანს მებრძოლი მკლავი...
მაგრამ ეს სახე ამაყი გმირის
თვალწინ მიყენებს ჩამომჭკნარ ყვავილს
და ჩონჩხის მსგავსი მისი სხეული—
სასო-წარკვეთილ ჩამომხმარ აჩრდილს;
მაგრამ მოვტყუვდი!.. მქუხარე სიტყვა
იმისგან თქმული, გულში ღრმათ ჩამწვდა,
მხოლოდ ლაღ შვილთა ამა ქვეყნისა,
ვითა მახვილი გულს უგმირავდა...
იმან ისა სთქვა, რაც თვით ცხოვრებას
კაცთ სასიცოცხლოთ გამოუხატავს,
მაგრამ მტარვალსა სხვისი ხვედრ-წილი
თვის საკუთრებათ გამოუსახავს.
დიახ, იმან სთქვა, რომ ეს ცხოვრება,
თვით სამოთხეა, ქვეყნის მაშვენი,
მაგრამ ბოროტათ აწყობს მათ თვითვე
ადამიანის ბოროტი ხელი.
და ეს, მხოლოდ ეს მკლავი ქუჩისა,
შეატრიალებს საერთო სვე-ბედს.
ვინ სტყუის ქვეყნათ, აბა ჩაკითხეთ
ცხოვრებას ფუჭსა და ტანჯულთ გულ-მკერდს.

—

ასე რათ ხდება?—შენ გეკითხები,
ხალხთა სავანევ, ცხოვრების ველო,
მაგრამ შენ ყრუ ხარ... მხოლოდ ტანჯულთა
გულო მკვნესარევ, ხარ საიმედო...

ა. ხაბულიანი.

პროვინცია

ს. ზომლეთი (გურია). მიწის სივიწროვე და სხვა ამას გვარი გაჭირვება აქაურ მცხოვრებსაც აიძულებს მიატოვოს თავისი ორი ციდა მიწა და ეძებოს საყანე 15—20 ვერსის მანძილზე. აქნამდე ცოტ-ცოტათი მაინც სარგებლობდენ თავ. შალიკაშვილის მიწით. მაგრამ ეს მიწები, რამოდენიმე ხნის წინათ შეისყიდა ერთმა შეძლებულმა გლეხმა და ძველი მომუშავეები გამორეკეს, რადგან თითონ ამუშავებს ნაყიდ ადგილს. ასე, რომ ახლო-მახლო გასაცემი ადგილები იშვიათია და ნიგოითში, სუფსაში და სხვაგან უნდა ეძებონ ის. საზოგადოთ, ჩვენი სოფელი ჯერ ერთი მეიდროთ არის დასახლებული და მეორეც—ნაკლებ ნაყოფიერი—ხრიოკი მიწები აქვს. 15 პროცენტი შეიძლება დარჩეს ისეთი, რომელსაც საკუთარ მიწაზე მოსული ჰინახული ეყოფა

ჩვენი სოფლის ერთი ნაწილი, დაახლოვებით 30 კაცამდე, რომელთაც საყანე მიწა ან სულ არა, ან ძალიან ცოტა აქვთ, მუშაობენ ქვას, თლიან კეცებს, სახლის დოკნებს, საცეხველებს და სხ. ეს მუშაობა მუდმივ ხელობათ აქვთ მათ გადაქცეული, რადგან ამის შემოსავალზეა მთელი მათი ყოფა-ცხოვრება დამოკიდებული.

თუ რა ჯოჯოხეთს წარმოადგენს დილიდან საღამომდი, და ხანდიხან ღამითაც მუშაობა, ამის განხილვას ჩვენ არ შეუდგებით, მხოლოთ აღსანიშნავი და საყურადღებოა ის, თუ როგორ ყიდიან ისინი სიმწარით ნამუშავარს.

მართალია ამ ნაწარმოების—უმეტეს შემთხვევაში მხმარებელი ისევ სოფლის მუშაა, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ საქონლის დამმზადებელსა და მყიდველ შორის არ არის პირდაპირი დამოკიდებულება. აქაც თავს ყოფს ხოლმე ჩარჩი და ნამუშევარს ჩალის ფასათ იგდებს ხელში. ჩარჩი მწარმოებელიდან იაფათ ყიდულობს, რადგან უნდა გაყიდოს; მყიდველს ძვირათ აძლევს, რადგან ნაყიდი აქვს. ის აქ ორგვარათ გებულობს—ყიდვაშიაც და გაყიდვაშიც. ზარალობს—მყიდველიც და საქონლის მომხმარებელიც.

საქმის მოწესრიგება და ჩარჩების კლანჭებიდან თავის დაღწევა—ვგონებთ საჭიროა.

ზეგნიელი.

დ. ხარაგოული. დადგა ზაფხული და ბელაგორ-შიც გაისმა მეტათ საამური წკრიალა ხმა.. ზამთარში გაფანტულმა ახალგაზდობამ თავი მოიყარა. მან ხარაგოულის შეტბორებულ ცხოვრებაში პირველათ შეაგორა მჩქეფარე ტალღა და არ-მარე გამოაცოცხლა. იშვიათია ჩვენ პროვინციელთა ცხოვრებაში ისეთი ენერგია და შრომის მოყვარეობა, როგორიც გამოიჩინეს მათ. მიუხედავათ ათასგვარ დაბრკოლებათა, როგორიცაა, მაგალითათ, თეატრისათვის შენობის უქონლობა, უფულობა, მცირე გამოცდილება და სხვა, მათ შეადგინეს „სცენის მოყვარეთა დასი“, შეიძინეს მოძრავი დეკორაცია და შეუდგენ წარმოდგენების მართვას. წარმოადგინეს შემდეგი პიესები: „დამარცხებულნი“, „დედაკაცის საქმე“, „რუკი ვერხ“, „უბედური დებიუტი“, „არსენა“, „ორი მშიერი“ და „და-ძმა“. ამათვე განზრახული აქვთ გამართონ წარმოდგენა უკანასკნელათ ილიას ფონდის სასარგებლოთ. წარმოდგენილი იქნება სამ მოქმედებიანი დრამა „ბატონი და ყმა“ დივერტისმენტით, წაკითხული იქნება აგრეთვე ილიას ბიოგრაფია.

იმედია ხარაგოულის საზოგადოება დააფასებს ამ ახალგაზდების არაჩვეულებრივ საქმიანობას, დაესწრება ამ უკანასკნელ წარმოდგენას და მით საშუალებას მისცემს მათ ღირსეულათ პატივი სცენ ჩვენი საყვარელი მგოსნის ილიას ხსოვნას.

ე. სანდონიძე.

მუშათა ფორის

თბილ. ტრამ. მუშათა ცხოვრებიდან. ისე არსად არაა გამწვავებული მუშებსა და ხაზეინებ შორის საქმე, როგორც ტრამვაის მუშებსა და დირექტორ ადიბეგოვს შორის.

ბ-ნი ადიბეგოვი ცდილობდა და ახლაც ცდილობს, რათა უნდა დაუჯდეს, გააუქმოს ოფველგვარი ხელშეკრულებანი, რომელიც არსებობის შრომასა და კაპიტალ შორის, გაამეფოს ის „სანატრელი ხანა“, როდესაც მუშა 10—12 საათის შრომაში იღებდა 50—60 კაპ.. რა დროსაც მოესურვებოდა ხაზეინს ითხოვდა ადგილიდან და, იმის მაგიერ რომ დათხოვნილ მუშისთვის მიეცა ჯილდო, (როგორც ხდება ეს დღეს), რომ სანამ იშოვიდა ადგილს არ მომკვდარიყო ქუჩაში შიმშილით, ბერიქით, ხშირათ ჯარმაგრისაც არ აძლევდენ ხოლმე სრულათ და სხვა და სხვა ხრიკებით, ჯარიმის სახით იმ მცირე ხელფასსაც უნახავრებდენ.

ბ-ნი ადიბეგოვი კარგათ ხედავდა რომ უფლებების წართმევა, ხელშეკრულებების გაუქმება ერთი კალმის მოსმით არც ისე ადვილია, ერთის მხრით იმიტომ, რომ ხელშეკრულებები კანონიერია, ვინაიდან ხელმოწერილებია, როგორც წინანდელ დირექტორებისაგან, აგრეთვე მუშების რწმუნებულებისაგან; მეორე მხრით იმიტომ, რომ მუშები სამი-ოთხი წლის განმავლობაში სარგებლობენ, შეისისხლხორცეს ის უფლებები, რომლებიც ბ-ნ ადიბეგოვს და მის თანამოძმეებს მოსვენებას არ აძლევენ. და რომ უფრო მაღე მიაღწიოს ადიბეგოვმა დასახულ მიზანს, იგი ცდილობს მუშები გამოიწვიოს გაფიცვაზე, რადგანაც მაშინ თვითონ ჩვენ დავარღვევთ ხელშეკრულებას.

ბ-ნი ადიბეგოვი გვეუბნებოდა—მე მინდა წარმოება მოვაწყო კარგ ნიადაგზე. თქვენი ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლები წარმოებას დაღუპვისაკენ მიაქანებენ და არ შეიძლიან არ გავაუქმოთ.

მიუხედავათ იმისა რომ ვიცოდით, ბ-ნ ადიბეგოვს უველაზე მეტათ აინტერესებდა არა წარმოების კარგ ნიადაგზე მოწყობა და ამ გზით „მისი დალუპვისაგან გამოხსნა“, არამედ წარმოების ისევ ძველ პირობებში დატოვება და მარტო მუშების უფლებების წართმევით პროცენტების გადიდება,—ჩვენ მაინც ვეუბნებოდით, არაფერი არა გვაქვს საწინააღმდეგო ხელშეკრულების ამ მუხლების გაუქმებაზე, თუკი დაგვიმტკიცებთ რომ ხელს უშლიან წარმოებას, დაღუპვისაკენ მიაქანებენ, მით უმეტეს ვიქნებით თანახმა გაუქმდეს ის მუხლები, რადგანაც წარმოების კარგ ნიადაგზე მოწყობა ჩვენს ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებას ნიშნავს, და მისი დაღუპვა კი ჩვენს ეკონომიურათ დაქვეითებას.

ბ-ნ ადიბეგოვის ხრიკებმა ვერ გასწრა და სხვა საშუალება გამოძებნა, გააუქმა საამხანაგო კომისიები, ეგონა ამით მაინც გაფიცებდა მუშებს. მაგრამ ვინაიდან რუსეთის კანონებში არაფერია ნაოქვამი საამხანაგო კომისიების არსებობაზე, არ არსებობაზე რამდენიც გინდა,—ხმა არ ამოვიღეთ. რაკი დაატეო არც ამით გახდა რასმე, შეუდგა ხელშეკრულების ნაწილ-ნაწილათ დარღვევას. ჩვენ აქაც გამოგანახეთ გამოსავალი გზა და ხელშეკრულების დარღვევისათვის ვუჩივლეთ სასამართლოში, და რადგანაც აქაც ჩვენ მოვიგეთ, საქმე ბალატაში გადაიტანა. ვნახოთ ბალატიდანაც რას წაიღებს.

ბ-ნი ადიბეგოვი არც ბალატაში გადატანით კმაყოფილდება; მეო—განაცხადა მან—ხელშეკრულებები გავაშინჯვინე იურისტებს და მითხრეს, არავითარი კანონიერი ძალა არა აქვსო (რასაკვირველია თუ გააშინჯვინეს როგორაცა ითანისიანი, რომელმაც კანტორის მოსამსახურეების ხელშეკრულება შეიმუშავა და მერე კი თითონვე გამოდის მისი წინააღმდეგი,—ასეთი იურისტებისაგან უველაფერი დასაჯერებელია). ის განცხადებას განცხადებაზე სწერავდა, 1908 წელს ფრიდმანთან შემუშავებულ ხელშეკრულებებს არა ვთვლი კანონიერათ და გაუქმებულათ ვაცხადებო. ჩვენ არც აქ დავთანხმდით ხელშეკრულების გაუქმებაზე და ვუთხარით, თუ გსურთ საქმე კონფლიქტამდის არ მიიყვანოთ, მშვიდობიან მოლაპარაკებით შევთანხმდეთ, ჩვენ მზათა ვართ კომპრომისებზე წასვლისა. ეს ვაცნობეთ როგორც თფილ. გუბერნატორს, ისე ქალაქის თავს, აგრეთვე სოციალ-რიგო ინსპექტორებსაც და ამათაც ურჩიეს მშვიდობიან მოლაპარაკებით საქმის გათავება. ამ მიზნით 11 და 12 ივლისს სოციალ-რიგო ინსპექტორების თანდასწრებით და თავმჯდომარეობით განსასაკუთრებული „საფეშანიებიც“ კი მოხდა, რაც იყო უკვე ადგილობრივ რუსულ და ქართულ გაზეთებში გამოცხადებული მოკლეთ. ბ-ნი ადიბეგოვი არც აქ გაჩერდა; მოინდომა მუშების რიცხვის შემცირება, ახალ მუშების აყვანა, და რადგანაც არც აქ აგუხიარდით,—ვეუბნებოდით ვისაც

დაითხოვო ხელშეკრულების თანახმათ უნდა მისცეთ 6 თვის ჯამაგირი,—8 ივლისს გამოაკრა განცხადება, რითაც გვატყობინებს, რომ ხელშეკრულება გაუქმებულია და ადარავითარი განმარტება-მოლაპარაკება ადარ შეიძლებაო.

ამგვარათ, ვერავითარმა მოლაპარაკებამ, ვერც ეროი დაწესებულების რჩევამ ვერ იმოქმედა ბ-ნ ადიბეკოვზე, და იგი მაინც განაგრძობს თავისებურათ. ამიტომ ჩვენ ტრამვაის სახელოსნოს მუშებმა დაახლოვებით 200 კაცამ, 16 აგვისტოს შევიტ ნეი სახიგარი ტრამვაის დირექციაზე ხელშეკრულების დარღვევისათვის (ეს მეორეთ შეგვაქვს) თბილისის მესამე განყოფილების მოსამართლესთან და ვსთხოვთ გაუქმოს კანონის ძალით 20 აგვისტოს 1907 წელს შემუშავებული, როგორც დირექციისათვის აგრეთვე მუშებისათვის სავალდებულო ხელშეკრულება, გადაახდევინოს დირექციას თითოეულ მუშის სასარგებლოთ ზემოხსენებულ ხელშეკრულების მე-25 მუხლის ძალით 6 თვის ჯამაგირი.

ამ მოკლე ცნობებიდან ცხადია თუ რა პირობებში იმყოფებიან ტრამვაის მუშები.

ტრამვაიელი,

გურიის ამბები.

ს. ნიგოითი. ეს რამოდენიმე ხანია, რაც სოფელში მძვინვარებს ყელჭირვება (სკარლატინა). ავათმყოფობა ძალიან ედება ბავშვებს და რამდენიმე კიდეც იმსხვერპლა. არის აგრეთვე მრავალგვარი ავათმყოფობანი, რომლებიც, უეჭველია, ხილის გადაჭარბებულ ჭამას უნდა მიეწეროს. სიმინდი არ არის სახეირო.

ს. ციხე. ამას წინათ ადგილობრივი მცხოვრებნი გზას აკეთებდენ. გზის კეთების დროს უნდა გაევლოთ ერთ ადგილობრივ მცხოვრების ზურაბ კეკელიძის მიწაზე. შეუდგა თუ არა ხალხი მუშაობას, კეკელიძე თავის შვილებით თავს დაესხა და სროლა აუტეხა მომუშავეებს. ხალხი დაიფანტა, მაგრამ ჩქარა ისევ მუშაობას შეუდგა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ბოქაული და ორი კაცი დაატყვევა. მაგრამ ისევ გაანთავისუფლა. როგორც გავიგეთ, ამ საქმის გამო, ბ-ნ კეკელიძეს თავის შვილებით ბოიკოტი გამოეცხადა მთელ გურიაში.

ს. გურიანთა. აქ თავად ნაკაშიძეს აქვს ხე-ტყის ქარხანა. ნატანების ახლო მდებარე ტყეში ამუშავებს მლშებს შეშაზე. მუშაობის ნიხრი აქამდე ასე იყო: მაგ. დამუშავება რცხილის, წიფლის და სხვა ასეთების, უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე თხმელასი, რადგან ეს უკანასკნელი უფრო ადვილი დასამუშავებელია. ეხლა ბ-ნ ნაკაშიძეს გაუთანაბრებია და ყველა შეშის დამუშავებაში იმდენს აძლევს, რამდენსაც აქნამდე თხმელაში აძლევდა. როგორც გავიგეთ, საქმე სამედიატორო სასამართლოთი უნდა გათავდეს.

ს. ზემო-აკეთი. ამ რამდენიმე ხნის წინათ, ერთ ადგილობრივ მცხოვრებს თოხაძეს რამოდენიმეჯერ მოუყარეს ბოსტანში მარწყვზე საწამლავი. საბედნიეროთ, საწამლავის მსხვერპლი არავინ გამხდარა, რადგან ჩქარა შეამჩნიეს. ხალხი იძიებს დამნაშავეებს და იმედია კიდეც აღმოაჩენს ამ საშიშარ ბოროტმოქმედებს.

შავი საქმეები ძმობისა და სიყვარულის სამოსელში

(მისიონერთა სიეზდის გამო). *)

როდესაც მახლობელ აღმოსავლეთში ცეცხლი ეკიდება ძველს კანონებს, რომელთაც საუკუნოებით დამონავებული და დაბეჩავებული ჰყავდა დაბალი ხალხი, როდესაც ჩვენს გვერდით ხალხი შესანიშნავი წინდახედულობით ძირს უთხრის იმ რეჟიმს, რომელმაც გაათახსირა და გასთელა ადამიანის პიროვნება, როდესაც კაცობრიობის დიად ხეს დღეს თუ ხვალ უნდა ჩამოვარდეს ორი ყვითელი, დასნეულებული ფოთოლი კიდევ, აი ამ დროს, ჩვენში, რუსეთში, ყველაფერი უკუღმა ტრიალებს, ყოველ წუთს, ყოველ წამს სულ უკან და უკან მივდივართ. ხელიდან გვაცლიან იმ მცირე უფლებებსაც კი, რომელიც მწარე ბრძოლით მოგვიპოვებია და არა ერთი და ორი მსხვერპლი შეგვიწირია. ბნელი ძალები თავს საზარლათ დაგვჩხავიან და უტიფროთ და უსირცხვილოთ აფათურებენ ხელებს ქვეყნის ტანჯულ გულში. ისინი ფიქრობენ და ცდილობენ იმ ნიადაგის გამაგრებას, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ შეარყია.

ამას მოწმობს კიევის მეოთხე მისიონერთა სიეზდიც, რომელსაც თავის მიზნათ განმთავისუფლებელ მოძრაობასთან ბრძოლა დაუსახავს და, რაც უფრო საკვირველია, ძმობისა და სიყვარულის იარაღით. თუ რას წარმოადგენს მ.თი ძმობა და სიყვარული, რაზე ახურდავებენ ამ ორ დიად მცნებას, რა შინაარსსა სდებენ შიგ, ამას სიეზდის მსვლელობა და მისი დადგენილებანი გვამცნებენ.

სიეზდი გაიხსნა 12 ივლისს ქ. კიევში რელიგიოზურ განმანათლებელ საზოგადოების დარბაზში. გახსნას დესწრენ პეტერბურგის, კიევის და მოსკოვის მიტროპოლიტები, 12 არქიეპისკოპოსი, 24 ეპისკოპოსი, სინოდის ობერ-პროკურორი, მისი ამხანაგი, მრავალი სინოდის ჩინოვნიკი, ადგილობრივი უმაღლესი ადმინისტრაცია, სამღვდელოება, სხვა და სხვა კუთხის მისიონერები, ქალები და ჭეშმარიტ რუსთა წარმომადგენელნი. სიეზდი გაიხსნა პარაკლისით, რის შემდეგ წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. ყველანი ხაზს უსვამდენ სხვა და სხვა სექტანტებთან და სარწმუნოებასთან ბრძოლას. მიიღეს აუარელი ტელეგრამები, სადაც გაკვრით იხსენიებდენ 17 აპრილის 1905 წ. სარწმუნოების, სვინიდისის თავისუფლების გაუქმების საჭიროებას. უმეტესობა დიდის აღტაცებით მიეგება ამას.

სიეზდმა თავისი ბედი დაუკავშირა რ. ხ. კ. წარმომადგენლებს. ფაქტიურათ უკანასკნელნი არიან მისი თავი და ბოლო. ესენი ადგენენ სიეზდს გარეშე კრებებს, გამოაქვთ რეზოლიუციები და უდგენენ სიეზდს დასამტკიცებლათ. და რომ არც ერთი მათგანი უყურადღებოთ არ იქნებოდა დატოვებული, ამის გარანტიას იძლეოდენ სიეზდის სულის ჩამდგმელები: ვოსტორგოვი, ეპ. ევლოგი და ძმანი მათნი. მათ გვერდით კი ფაცურობდენ იუზეფოვიჩი, დუბროვინი და სხვები—ეს დიდი შავი წერტილები რუსეთის ცხოვრებაში. და რადგანაც „მოკავშირეთა“ მიზანია მოსპონ ყოველგვარი ნიშანი განმათავისუფლებელ მოძრაობისა, აურივ-დაურიონ რუსეთის ცხოვრება ისე, რომ შეუძლებელი გახდეს რაიმე ხალხური მოძრაობა, ამიტომ სიეზდმაც სწორეთ ეს მიზანი დაისახა თავისს კრებაზე. საკვირველი აღარ იქნება, რომ სიეზდმა დაადგინა აღძრას მეფესთან შუამდგომლობა გადიშინჯოს კანონი 17 აპრ.,

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა შეგვიანდა.

რედ.

რომელიც გამოიცა ებრაელებისაგან მოსყიდულ ვიტესაგანაო. უკანასკნელმა, აღნიშნავს სიეზდი, ბევრ საქმეში მოატყუა მეფე და სხვათა შორის 17 იპრილის კანონის გამოცემაშიაც. აი ამიტომ სთხოვენ მეფეს გადისინჯოს (ჩვენებურათ რომ ვსთქვათ კი მოისპოს) 17 აპრ. აქტი. ამის წინააღმდეგ ამხედრდენ სინოდის ობერ-პროკურორი და პეტერბურგის მიტროპოლიტი, მარა ამათ ვერაფერი ვერ გააწყეს და რადგანაც უკანასკნელი ვერ შეურიგდა სიეზდის მიმართულებას, იძულებული გახდა წასულიყო კრებიდან.

რომ უფრო ნათელყოთ სიეზდის შავრაზმული ფიზიონომია, შეეხოთ ზოგიერთ მის დადგენილებებს. მოგეხსენებათ, რომ რუსეთის რევოლიუციაში უმთავრესი როლი და მნიშვნელობა ჰქონდა მეშა ხალხს და მის პარტიას ს.-დ. და აი შავი მამები სხვათა შორის თავის პროვაკაციას აქეთ მიმართავენ ცნობილი კაცი-ჭამია მ. ვოსტორგოვი უმტკიცებს კრებას და მით, რასაკვირველია, იმათაც, ვინც სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნოებითაა მაგრათ შებოჭილი, რომ მუშები და ს.-დ. ბუნებით ატეისტებია, რომ მათ ღმერთი არა ყოფილა, ისინი ე. ი. ს.-დ. ცდილობენ ძალაუფლება ხელში ჩაუგდონ მუშა ხალხს (აი სად ყოფილა ძაღლის თავი ჩამარხული). ცდილობენ მოახდინონ სისხლის ღვრა და სხ. ზოგიერთი მამები უმატებენ, რომ ს. დ. თავიანთი ცნებები ძმობისა და ერთობისა ქრისტიანობიდან მოიპარესო, რომ მათი წარმომადგენლები ბებელი, ენგელსი და ლიბკნეხტი ებრაელებია (გაისმის ზოგიერთის ხმა, რომ ქრისტეც ებრაელი იყოვო...) და ამიტომ დაადგინეს: ბაავრცელონ ბროშიურები, სადაც აღნიშნულ და დამბობილ უნდა იყოს ს. დ. ატეიზმი *) და სხვ. რას ნიშნავს ყველაფერი ეს? რადგანაც სოც.-დემ. საგრძნობელი ძალაა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ; ამიტომ ცდილობს სიეზდი, მას მნიშვნელობა და გავლენა დაუკარგოს გლეხობაში საზიზღარი დემაგოგიით. რადგანაც მუშებია წინამძღოლი და შემდეგშიაც დარჩებიან, ამიტომ საჭიროთ სცნობს სიეზდი მათ განმარტოებას და შავი ძალების მათ წინააღმდეგ ამხედრებას, რომ შეუძლებელი ჰყონ თვით მუშების საქმე. ს.-დ. მიისწრაფის სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებების მოსახდენათ და ხალხის მათ წინააღმდეგ ამხედრება მოასწავებს: ძირს სოციალ-პოლიტიკური ცვლილებები, გაუმარჯოს ძველს რეჟიმსაო.—განუმარტოთ შავ მამებს ის გარემოება, რომ ს.-დ. არავისგან არ მოუპარავთ თავისი მცნებები. დიდი ხანია მან აღნიშნა, რომ პლატონიზმის და სტოიციზმის ფილოსოფია, ქრისტიანობის უმთავრესი წყარო ბევრით ადრე არსებობდა. რაც შეეხება იმას თუ ვინ ცდილობს სისხლის ღვრა ჩამოაგდოს ხალხში, ამას სიეზდის ის დადგენილებაც ნათელ ხდის, რომ აკრძალულ იქნას ქორწინება, როგორც სხვა სარწმუნოების ისე არა მართმადიდებელსა და მართლმადიდებელ ქრისტიანთა შორის. ამნაირათ უპირდაპირებენ ერთმანეთს სხვა და სხვა სარწმუნოების ხალხს და სექტებს და მით, სიყვარულისა და ძმობის ნაცვლათ, სთესვენ სიმძულვარესა და მტრობას. ეს ისე აშკარაა, რომ ცნობილ „ნოვ. ვრ." კაცი-ჭამიურ ფურცლებზედაც კი დაჰბეჭდეს სიეზდის ამნაირი დადგენილება. ეს თავათ მემებმაც იციან; იმათ ისიც კარგათ იციან, რომ ამას მართლმადიდებელობის გავრცელება კი არ მოყვება შედეგათ, პირიქით მისი დაცემა.

საშუალებები ძმათა შორის შუღლის ჩამოსაგდებათ ბევრი გახლავთ. თუნდა აიღეთ სიეზდის შუამდგომლობა, რომ დასავლეთ გუბერნიებში, მაგ. ხოლმშჩინაში კათოლიკებთან საბრძოლველათ, ჩამოერთოს მიწები პოლონელ მემამულეებს და გადაეცეს ცენტრალურ გუბერნიებიდან გადმოსახლებულ გლეხებს. აქ მართლმადიდებელ სარწმუნოების სამოსელში გამოხვეულია სურვილი ბადაჰკიდონ აგრარულ ნიადაგზე ერთმანეთს გადასახლებული მართლმადიდებელი რუსი გლეხები და ადგილობრივი კათოლიკე მცხოვრებნი, და ამნაირათ საძირკველი ჩაუყარონ იმ სისხლის ღვრას, რომელიც მოჰყვა ამნაირსავე პოლიტიკას ციმბირში რუს გადასახლებულ გლეხებსა და ადგილობრივ მცხოვრებ კირგიზებს შორის. სიეზდის ავი მზრუნველი თვალი ყველგანა ხედავა: ჯარს, სასწავლებლებს და სხვა და სხვა სექტებს. ყველას არ სამოვთვლით. ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. სხვათა შორის ადგენენ ეთხოვოს სინოდს, რომ მიიღოს ყოველნაირი ზომები ლ. ნ. ტოლსტოის იუბილეის გამართვის წინააღმდეგ, შემოიღოს ეკლესიებში ანაფემა გვარების ჩამოთვლით, ვინც კი უდალატებს მართლმადიდებელ სარწმუნოებას. მიიღეს აგრეთვე თავიანთი იდეების გასავრცელებლათ მიმართონ ხოლმე პოლიციასაც.

სიეზდი პოულობს თავის შესაფერ ადგილს: ის ეწერება ბ. რ. კავშირში, მას თავის პარტიათ აცხადებს.

გაზეთებში აღნიშნავენ იმასაც, ვითომ სიეზდმა აღძრა შუამდგომლობა ეთხოვოს მეფეს მოსპოს 17 ოქტომბრის მანიფესტი. ეტყობა სიეზდს ამ მანიფესტის აჩრდილიც კი მოსვენებას არ აძლევს და ფორმალურათაც ცდილობს აღგავოს ის პირისაგან ქვეყნისა.

ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანდა სიეზდის ყველა დადგენილებების განხილვა. მგონი ნათქვამიც საკმარისია, რომ მკითხველმა სიეზდის საერთო ფიზიონომია დაინახოს. სიეზდი გადაუდგა პირდაპირ თავის მოვალეობას და პოლიტიკაში ჩაეფლო. მან მიზანში ამოიღო განმათავისუფლებელი მოძრაობა და პირველ საშუ ლებათ მასთან საბრძოლველათ უმდაბლესი დემაგობია, პროვოკაცია და ძმათა შორის შური და მტრობის ჩამოგდება დაისახა...

ტა—სი.

*) სამართლიანობა მოითხოვს შევნიშნოთ, რომ ეს „დიდებული აზრი" შავს მამებს არ მოსვლიათ თავში პირველათ, ამნაირსავე საზიზღარ დემაგოგიას მიმართა კარგა ხანია ერთ-ერთ თავის ბროშიურაში „ცნობილმა" ბ. აკობიმ. ავტ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი:

გაზ. „ხომლის" № 22-ში ბ. აფრასიონ ლომთათიძე მომმართავს მე და მიწვევს, ან ინგარიში გავუსწორო და ან სამედიატორო სამართალში გავეგე. კარგი და პატიოსანი. მხოლოთ ჯერ ერთი უნდა ვადიარო, რომ მისი წერილიდან სჩანს, თითქოს მას რამდენჯერმე მოემართოს ჩემთვის ამ წინადადებით და ჩემგან მაგიერი პასუხი ვერ მიეღოს. ეს არ არის მართალი. ხოლო თუ მართალია, დამ[illegible]ხელოს გაზეთის ნომერი.

სანამ ამ წინადადებაზე პასუხს გავცემდე, [illegible]მე მგონია, მეტი არ იქნება ვაუწყო საზოგადოებას, რომელმაც მსჯავრი უნდა დაგვდვას, როგორც მე, ისე ჩემს მოწინააღმდეგეებსაც, რომ მე უუკიდურეს საშუალებებს მიგმართე, რომ როგორმე, ან ინგარიში გესწორებინათ და ან სამედიატორო სამართალში გამომეოდოდენ ეოფილი ჩემი 5 გამგე, რომლებსაც მე ვაბრალებ ფულის გაფლანგვას, მათ მე საქმე ჩავაბარე და ინგარიშის გასწორებას კი ვერ ვეღირსე. ბოლოს, როგორც იყო, დავიყოლიე ისინი სამედიატორო სამართალზე. გავაკეთებინე ნოტარიალური ხელშეკრულობა, გაწიე ეოველი საჭირო ხარჯები, რომელშიაც იმავე სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოწინააღმდეგე მხარესაც უნდა მიეღო მონაწილეობა. სასამართლოსავე გადაწყვეტილებით ორივე მხარეს უნდა დაექირავებინა ერთი ბუღგალტერი, რომელსაც რეკოზა უნდა ეუ-

ეგეფლა სასნგარიშო წიგნებისთვის, მაგრამ როდესაც ს ქმე ის იეო, უ ნდა გოაკვებულიეო, მოწინააღმდეგეთა მედიატორეებმა დაშალეს სასამართლო.

ახლა, რადგან ერთი მოგვ ი მობრუ ებულა და თხოულობს ჩემგან სამედიატორო სამართალში გასვლას, მე დიდის სიამოვნებით ვთანხმდები ამ წინადადებაზე მხ დოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ 1) სამართალში გამოიწვევს და მიიღების მონაწ ლეობას ა ა მარტო ბ. ლომოთიძე, რომელთანაც, კერძოთ მე, არავითარი საქმე ა ა მაქვს,—არამედ ხუთივე ჩემი ეოფილი გამგეები: ილია ჭელიძე, იაგორა ჭელიძე, ივერსიონ ლომთათიძე, ბაგრატ შარმაზანოვი და გიორგი სიხარულიძე, და 2) თუ მოწინააღმდეგეები შემოვლენ წინანდელ ბარგების ნახეკარში და მიიღებენ მონაწილეობას ახალ ხარჯებში,—წინანდებურათ არ მომატეებენ და არ გაქცევიან სასამართლოს. ამასთანავე წინადადებას ვაძლევ ეველა ამათ, რომ მომავალ სასამართლოს წინაშე წარმოადგი ონ ეველა ის საჭირო წიგნები და ჩეკები, რომლებიც წინანდელმა სასამართლომ დაკარგა, მაგრამ ამათ საღლაც გადამალეს ისინი და იქ ა ა წარმოადგინეს.

თუ თანახმა იქნებიან ამ ჩემს წინადადებაზე, დანიშნონ სასჯ ოთ მედიატორეები და მეც ჩემის მხრით დაკასახელებ მათ.

ივანე ცინცაძე.

რედაქტორ-გამომცემელი ანთ. გიორგობიანი.

განცხადებანი.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ	5 მ.	—	კ.
ნახევარ წლით — —	3 მ.	—	კ.
სამი თვით — —	1 მ.	60	კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით	7 მ.	—	კ.
ნახევარ წლით — —	4 მ.	—	კ.
სამი თვით — —	2 მ.	—	კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კენძული. ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ. Редакція «Чвени Квали». Ванкская ул. № 12. Рахиль Каландадзе.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შედეგს მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენციაა**, იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენათ, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „**სპერმატინი**“ შედგენია ფრანგის პროფესორისა ეკრმისა **ბროუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამა კაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ კანტორაში შადლამისა.

ავათმყოფთა წერილები.

„სპერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში და ბრიუსელში.

„უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოთ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მან. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-დე 65 კ. შუა აზიაში ორჯერ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

მსურველ „სპერმატენისას“ გთხოვთ მომმართოთ ჩემ კანტორაში: **თფილისი, პუშკინის ქ., № 15, თამამშევის ქარვასლის წინ ი. ახობაძე.** ან და ჩემი კანტორის განყოფილებაში **ბაქოში სტარო-პოლიციეისკის ქ., № 14.** და სხვადასხვა ქალაქებში შეგიძლიათ მოიკითხოთ სპერმატინი ახობაძისა, ჩემი აგენტებიდან: 1) ქუთაისში საწყობი აფთიაქისა ბ. ს. კოკჩაევთან; 2) ყვირილაში აფთიაქი ნანეიშვილთან; 3) ჭიათურაში აფთიაქი ჯანელიძისა; 4) ფოთი ქალაქის აფთიაქში; 5) ლანჩხუთი აფთიაქი მ. მხეიძისა.

წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე. თფილისი, პუშკინის ქ. სახ. № 15, თამამშევ ს ქარვასლის პირდაპირ. უბეოდ საქონელი არ იგზავნება.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი“, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.